№ 20 (54) ოქტომბერი 31 წელიწადი მეორე ფასი 15 კაპ

1930

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

რედაქც. მისამართი: რუსთაველის პრ. № 16 შესავალი წულუკიძის ქუჩიდან || მდივანთან მოლაპარაკება: 12—2 საათამდე. რედაქცია დაწუნებულ მასალებს არ უბრუნებს ავტორებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალიზმი იმარჯვებს

ოქტომბრის გადატრიალების დღეებში თეთრგვარდიელები და ესერ-მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლებას რამდენიმე დღის არსებობას უწინასწარმეტყველებდენ. შემდეგ ეს ვადა თვეებამდე გააგრძელეს. როცა ძლევამოსილმა პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობის დახმარებით ისინი საბჭოთა საზღვრებს იქით გარეკა, მათ საბჭოთა წყობილების დამხობის ვადა დააწესეს „ამ გაზაფხულიდან ამ შემოდგომამდე.“ ბევრი ასეთი გაზაფხული და შემოდგომა გავიდა. თეთრგვარდიელები და ესერ-მენშევიკები, გახვეტილნი ოქტომბრის რევოლიუციის ცოცხით, ამაოთ ელიან „აღსასრულს“ ბოლშევიკებისას, რომლის ტალღები აგერ - აგერ მისწვდებიან მათ.

ჩვენ მეთოთხმეტე წლის მიჯნაზე ვიმყოფებით ახლა. განვლილი ცამეტი წელი—ეს არის ისტორია ძლევამოსილი პროლეტარიატის გმირული ბრძოლისა ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად და განსამტკიცებლად, ოქტომბრის რევოლიუციის საბოლოო მიზნების განსახორციელებლად. შინაურ კონტრრევოლიუციაზე და გარეშე ინტერვენციაზე გამარჯვების შემდეგ. ჩვენ შეუდექით დანგრეულ მეურნეობის აღდგენას, წარმატებით დავსძლიეთ ეს ამოცანა და ახლა გამოსული ვართ სოციალისტური მშენებლობის ფართო გზაზე.

სამეურნეო ფრონტზე მიღებულ წარმატებების შედეგად, მემარჯვენეების „გამაფრთხილებელი“ წუწუნის მიუხედავათ, ჩვენ მივაღწიეთ სოციალიზმისაკენ წინსვლის ისეთ ტემპებს, რომელსაც წინასწარმეტყველობდა ვლადიმერ ილიჩი. ჩვენს მიღწევებს გაოცებაში მოჰყავს არა-თუ მეგობრები, არამედ მტრებიც კი, რომლებიც იძულებული არიან ზოგჯერ აღიარონ სიმართლე.

საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს აძლევს თვალსაჩინო მაგალითს იმისას, თუ რისი გაკეთება შეუძლია განთავისუფლებულ მუშათა კლასს. გაკეთებული კი ამ ცამეტი წლის მანძილზე, განსაკუთრებით კი ხუთწლედის პირველი ორი წლის განმავლობაში იმდენია, რომ ჩვენთვის ამ გიგანტურ სოციალისტური მშენებლობის უბრალო მონაწილეებისათვის, ძნელია მთელი სისრულით წარმოდგენა მისი გრანდიოზულობის.

ხუთწლედის მეორე წლის შედეგებმა სავსებით უდაოთ დაამტკიცეს, რომ ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება სავსებით რეალური ამოცანაა. საკმაო არის თვალი გადავავლოთ ხუთწლედის მეორე წლის ზოგიერთ დამახასიათებელ ციფრებს, რომ ეს ნათელი შეიქნეს:

წარსული სამეურნეო წლის განმავლობაში მსხვილი მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 24,2 პროცენტით იმ დროს, როცა ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული იყო, ზრდა 21,5 პროც. მსხვილი მრეწველობის პროდუქციის ზრდა ნაცვლად 26 პროც., რაც ხუთწლიანი გეგმით იყო გათვალისწინებული, შეადგენს 38,1 პროც., რაც 2,6 პროც.-ით ნაკლებია, 1929-30 წ. საკონტროლო ციფრებით გათვალისიწნებულ ნორმასთან შედარებით. ამრიგად გეგმა თითქმის შესრულებულია.

მძიმე ინდუსტრიის ზრდამ შექმნა სწრაფი ტემპი იმისათვის, რომ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდეს მსუბუქი ინდუსტრია, რასაც ხელს უწყობს ჩვენი ნედლეული ბაზის გაფართოება (საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობისა და ფართო აგრონომიული ღონისძიებათა წყალობით). მაგ. მოკრეფილი ბამბის რაოდენობა გაიზარდა 50—60 პროც., შაქრის ჭარხლისა — 150 პროცენტით.

იმ დროს, როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში იზრდება უმუშევართა არმია, ჩვენში უმუშევრობა ფაქტიურად მოისპო. პირიქით, ჩვენში ადგილი აქვს კვალიფიციური მუშა - ხელის უდიდეს ნაკლებობას.

ასეთია ჩვენი მიღწევები მრეწველობის დარგში.

ამ მიღწევებმა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ საბჭოთა მეურნეობების შექმნამ და გამტკიცებამ ხელი შეუწყო კოლექტივიზაციის ფართოდ გაშლას და მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის გატარებას. მთელ რიგ „მემარცხენე“ შეცდომებისა და პარტიის პოლიტიკის დამახინჯების მიუხედავათ საკოლმეურნეო მოძრაობა იმარჯვებს და გლეხობის ძირითადი მასები მობრუნდნენ პირით საკოლმეურნეო მშენებლობისაკენ. 5 წლიანი გეგმით, ხუთწლედის დამლევისათვის კოლმეურნეობათა ნათესების ფართობს უნდა მიეღწია 14,5 მილიონ ჰექტარამდი. ჩვენ უკვე წარსულ სამეურნეო წელში გვქონდა 38 მილიონი ჰექტარი. ეს მცირედი ციფრებიც თვალსაჩინოდ ასურათხატებენ, რომ სოფლის სოციალისტური გარდაქმნა მტკიცე საფუძველზეა დაყრდნობილი. მიუხედავათ „მემარცხენე“ გადახრებისა კულაკობისადმი.

ჩვენი მიღწევების ზოგადი სურათი არ იქნებოდა სრული, რომ არ შევხებოდით ჩვენს მიღწევებს კულტურულ ფრონტზე. ხუთწლედის მეორე წლის მიღწევებმა სამეურნეო ფრონტზე შესაძლებლად გახადა — მთელი სიგრძე - სიგანით დაგვესვა წერა - კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაციის და საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების პრობლემა. უმაღლესი სკოლის ქსელის გაფართოებამ და მისმა რეორგანიზაციამ დარგობრივი პრინციპის მიხედვით საშუალება მოგვცა

გაგვეუმჯობესებია კადრების მომზადების საქმე და მნიშვნელოვანი წარმატებები მოგვეპოვება ამ დარგში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხუთწლედის შესრულებისათვის ოთხ წელში, სოციალისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ ამ ჩვენს გადამწყვეტ მიღწევებს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე არ შეეძლო არ გამოეწვია ჩვენი მტრების გაფთრებული იერიშები. სოციალიზმის პოზიციების განმტკიცება საბჭოთა კავშირში სასიკვდილო ლახვარის ჩაცემაა ძირმომპალი კაპიტალიზმისათვის, რომელიც ილრჩობა კრიზისის ბრჭყალებში, კაპიტალიზმის მესვეურებისათვის არ არის ხელსაყრელი, რომ მასებმა თვალსაჩინოდ დაინახონ სოციალისტური სისტემის უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე, ამიტომ ისინი ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. ამ მიზნით მათ აამოძრავეს თავის აგენტურა საბჭოთა კავშირში — ნამსხვრევები ლიკვიდაცია ქმნილ კლასების, რომლებიც აქამდე, ბოლშევიზმის „გადაგვარების“ და დაცემის მოლოდინში ეწეოდნენ ჩუმ მავნებლურ მუშაობას, სცდილობდენ შეეფერხებიათ ჩვენი მეურნობის ცალკე დარგების განვითარება, შეექმნათ დისციპლინა ერთმანეთთან დაკავშირებული დარგების განვითარებაში, რომ საერთო ეკონომიური კრიზისის გამოწვევით ნიადაგი მოემზადებიათ პროლეტარული დიქტატურის აფეთქებისათვის შიგნიდან. მაგრამ ამაოდ, სოციალიზმის ლევამოსილ მსვლელობას ვერ შეაჩერებენ გრომან - კონდრატიევ-გინზბურგები.

მავნებლური მუშაობის გაძლიერებასთან ერთად ძლიერდება ანტი-საბჭოთა კამპანიის ტალღა უცხოეთში (რომელსაც მავნებლები უკავშირებდნენ თავიან კონტრ - რევოლიუციონურ საქმიანობას). საბჭოთა — „დემპინგის“ წინააღმდეგ ბრძოლის ნიშანქვეშ ჩვენი ყველაზე უფრო შეურიგებელი მტრები აწყობენ მთლიანი ანტი - საბჭოთა ფრონტის შექმნის მეათასერთე ცდას.

ჩვენ გვმართებს სიფრთხილე, რომ მოვიგერიოთ მტრების იერიშები, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ქვეყნის თავდაცვა და სოციალისტური მშენებლობა. არ უნდა ავივიწყოთ, რომ სიმპატიები მთელი მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატისა ჩვენს მხარეზეა. მტრების ბანაკს უფრო და უფრო არყევს ეკონომიური კრიზისი და შინაგანი რევოლიუციონური აფეთქებები იმ დროს, როცა ჩვენ თანდათანობით ვძლიერდებით და წინ მივდივართ, მივდივართ ზეალმავალ გზით ლენინის პარტიის მეთაურობით და ბოლშევიკურ ცეკას ხელმძღვანელობით, რომელიც შეურყვათ ებრძვის მემარჯვენე - „მემარჯვენე“ ოპორტუნისტებს და მათდამი შემარიგებელ დამოკიდებულებებს.

ე. წულაძე.

# დ ე მ პ ი ნ გ ი

## სად იშვა „დემპინგი“

კაპიტალისტური მსოფლიოს ომის შემდგომი ეკონომიკა — ეს არის სამრეწველო - საბაჟო ომი „ყველასი ყველას წინააღმდეგ“. ბურჟუაზიული ქვეყნები თავდავიწყებულად იბრძვიან ნაციონალური მრეწველობის განვითარებისათვის და ბალანსის აქტივობისათვის, ე. ი. იმისათვის, რომ უცხო საქონლის შემოზიდვა არ აღემატებოდეს საქონლის გატანას და ერთი მეორისაგან შეიზღუდნენ „საბაჟო ბარიერებით“.

მაშინ ექსპორტისათვის მომუშავე მრეწველობის წინაშე დაისვა საკითხი: ან უარი ეთქვა ექსპორტისაგან (ეს კი ნიშნავდა შემოსავლის მოსპობას, ფაბრიკების დახურვას, მრეწველობის მთელი დარგების შეჩერებას და მასების რევოლიუციონური სულისკვეთების ზრდას) — ან გამოენახა ისეთი მაკრატელი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა „ბარიერის“ მჩხვლეტავი მავთულის გადაჭრა. საშუალება მხოლოდ ერთი იყო: უნდა შეეზიდათ საქონელი ისეთ დაბალ ფასებში, რომ მაღალ ბაჟების გადახდის პირობებშიაც კი მათ შესძლებოდათ კონკურენტების დამარცხება. საჭირო იყო ზარალით ვაჭრობა. მაგრამ ასეთ ვაჭრობასაც თან სდევს ფაბრიკების დახურვა ყველა თავისი შედეგებით. მაშასადამე აქაც საჭიროა რაღაც „შესწორება“. შესწორებას იმაში ნახულობენ, რომ ზარალი დაბალი საექსპორტო ფასების გამო გადააქვთ შინაურ მომხმარებელზე. საქონელზე წესდება ორი ფასი: ერთი საექსპორტო — მეორე შინაური ბაზრისათვის. ასეთი მდგომარეობის მაგალითი ამას წინად მოყვანილი იყო „ბერლინერ ტაგებლატ“-ში. გერმანელ ინჟენერს დასჭირდა შუშის ფირფიტების პარტიის ყიდვა. ფირფიტები გერმანიაში ძალზე ძვირი აღმოჩნდნენ: 1 მარკა და 45 პფენიგი ცალი. იგივე ფირფიტები მეზობელ ქვეყნებში იყიდებოდა 45 პფენიგათ. მაშინ ინჟენერმა გერმანული ფირფიტები საზღვარგარეთიდან გამოიწერა.

ასეთ ვაჭრობას „ზარალით“, ინგლისელებმა უწოდეს „დემპინგი“, რაც ნიშნავს გაყიდვას გადასაყრელ ფასებში.

ასეთ ვაჭრობას მისდევდნენ მთელი რიგი ქვეყნები. გერმანულმა გაზეთებმა გამოარკვიეს, მაგალითად, რომ **„ყველა ქვეყნებს ფოლადის მრეწველობის ნაწარმოები გააქვთ უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე შინაურ ბაზარზეო“**. ასე, ინგლისი თეთრ თუნუქს შინ ჰყიდის 22 შილინგათ ყუთს, ხოლო საექსპორტო ფასია 12 შილინგი. ამერიკული ლითონის ფერმები ღირს 33 დოლარი ტონა, ხოლო საექსპორტო ფასია — 23 დოლარი და სხვა.

დემპინგი ედება მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგებს. პოლონეთს, მაგალითად, საფრანგეთში შეჰქონდა ხე-ტყე თვითღირებულებაზე დაბალ ფასებში. ყველამ იცოდა ასეთი ვაჭრობის შესახებ, მაგრამ არავის აუტეხია ამის გამო ხმაური. ერთხელ საფრანგეთმა უსაყვედურა გერმანიას მძიმე მრეწველობის დემპინგით ბაზრის ჩაშლა, მაგრამ გერმანიის პრესამ ამაზე უპასუხა ანდაზით „ყვავმა ყვავს წასძახა — აი, შე ხინჩლიანოო“ და ციფრებით უჩვენა, რომ საფრანგეთს თვითონ გააქვს მავთული 500 ფრანკით უფრო ნაკლებ ფასებში, ვიდრე ის საფრანგეთში ღირს. საფრანგეთი მორცხვად გაჩუმდა.

ასე არსებობდა დემპინგი და ეს სიტყვა არავისთვის არ იყო უცხო.

## დემპინგი ხდება „საბჭოთა ინტრიგათ“

მაგრამ, აი, მსოფლიო ბაზარზე, რომელიც დემპინგის გავლენით კრიზისს განიცდის, გამოდის საბჭოთა კავშირი. საბჭოთა კავშირი, რომელიც თავის მრეწველობას და სოფლის მეურნეობას შლის კაპიტალისტური ქვეყნების გამწვავებული მტრობის პირობებში, პერმანენტული ფინანსიური ბლოკადის და კრედიტების უქონლობის პირობებში, იძულებულია ექსპორტში ჰპოვოს სახსრები კაპიტალისტურ ქვეყნებში მაღალ ფასებში ნაყიდ მანქანა-იარაღების ღირებულების გასასტუმრებლად. საბჭოთა კავშირი არ გამოდიოდა ბაზარზე და არც ფასებს ჰქმნიდა. მან ბაზარზე გამოსვლისას ჰპოვა უკვე შექმნილი მდგომარეობა, რომელიც აიძულებდა მას ძვირად ეყიდა საზღვარგარეთ მოწყობილობა ქარხნებისათვის და რომელიც უკარნახებდა ფასებს გასასყიდ საქონელზე. სა

**ბჭოთა კავშირი იძულებული იყო დამორჩილებულიყო მდგომარეობას.** მაგრამ სწორედ აქ მოხდა, რომ სიტყვა „დემპინგმა“ მიიღო ლანძღვის ხასიათი, რაღაც „წყევლის“ აზრი, რომელსაც ბოროტი საბჭოების ქვეყანა უგზავნიდა მთელს მსოფლიოს. საბჭოთა კავშირს ბრალი დასდეს იმაში, რომ მან გამოიგონა „დემპინგი“, შლიდა ფასებს და ანგრევდა ყველა ქვეყნების ეკონომიკას. ბურჟუაზიულმა პრესამ გააფთრებული პროპაგანდა გაშალა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და პასუხისმგებელს ხდიდა მას კრიზისისათვის.

ხოლო „მორნინგ პოსტ“-ის რიგის კორესპონდენტის თვალში საბჭოთა ექსპორტმა მიიღო „მოსკოვის მაკიაველისტური საიდუმლო გეგმის ხასიათი“, რომელსაც მიზნად აქვს ნგრევის გამოწვევა ყველა ქვეყნებში და ნიადაგის მომზადება რევოლიუციონური პროპაგანდისათვის. „საბჭოთა დემპინგის“ შიში პსიქოზამდე ავიდა. ლაპარაკობდენ იმის შესახებაც, რომ საბჭოთა შაქრის ექსპორტი ძირს უთხრის შაქრის მრეწველობას კუბაში.

ასეთი მზადების შემდეგ გაისმა მოწოდება ევროპის ეკონომიკის „დასაცავად“ საბჭოთა კავშირის იერიშებიდან. დაიწყო პრაქტიკული მოქმედება — **ცდა შეექმნათ მთლიანი ანტისაბჭოთა ფრონტი:** ბრიანის პანევროპა, ვარშავის აგრარული კონფერენცია, „საბჭოთა დემპინგის“ განხილვა ერთა ლიგაში და სხვ.

## ზღაპარი „საბჭოთა დემპინგის“ შესახებ ჩაიფუშა

„პან-ევროპის“ დამარცხებამდე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ლაშქრობის ორგანიზატორები შეეცადნენ გერმანიის ჩათრევას. მაგრამ ეს კომბინაცია, მათთვის მოულოდნელად დამარცხდა. გერმანიის წარმომადგენელმა ერთა ლიგაში კრიტიკა გაუკეთა საბჭოთა დემპინგის „თეორიას“ და განაცხადა, რომ გერმანია უარს ამბობს ანტისაბჭოთა ლაშქრობაში მონაწილეობაზე. ასევე მოიქცა იტალია.

შემდეგ უფრო მოულოდნელად ჩაიშალა თვით „საბჭოთა დემპინგის თეორია“. ის გამოგონილი იყო ბურჟუაზიული პოლიტიკოსების მიერ, მაგრამ დამარცხდა აგრეთვე ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და კომერსანტების მიერ. პურის მსხვილმა ინგლისელმა იმპორტიორმა ლესინგმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ პურის სიაფეში საბჭოთა კავშირი სრულიადაც არ არის დამნაშავე. სიაფე — მსოფლიო ფაქტია და აიხსნება იმით, რომ მსოფლიოში დაგროვდა პურის აუარებელი მარაგი, რომელმაც მიმდინარე წელს მიაღწია 160 მილიონ კვარტერს, იმ დროს როდესაც პურის მაქსიმალური მოთხოვნილებაა 100 მილ. კვარტერი. ფასების დაკლება კი მოახდინეს განზრახულზე ამერიკის რესპუბლიკებმა და არა საბჭოთა კავშირმა. მეორე იმპორტიორმა ბენეტმა „ტაიმს“-ში პირდაპირ სასაცილოდ აიგდო საფრანგეთის ჭორები და აღნიშნა, რომ სწორედ საფრანგეთი აწარმოებდა იმ ხორბლის დემპინგს, რომელიც მას ინგლისში და სხვა ქვეყნებში გაჰქონდა, ამასთანავე საფრანგეთის მთავრობა პრემიას აძლევდა ექსპორტიორებს 4-5 შილინგს ტონაზე და ხორბალი ინგლისში ერთი შილინგით უფრო იაფად იყიდებოდა კვარტერი, ვიდრე საფრანგეთში.

მთელი რიგი ბურჟუაზიული ავტორიტეტები გერმანიაში და მათ შორის კენიგსბერგის პროფესორ-ეკონომისტი ზერაფიმი ციფრებით ხელში ამტკიცებდა, რომ დემპინგს მისდევდნენ თითქმის ყველა ბურჟუაზიული ქვეყნები, რომ დემპინგი მსოფლიო მოვლენაა, რომლის შედეგებზე საბჭოთა კავშირი პასუხს ვერ აგებს.

## „დაცვა“ კი არა, გალაშქრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

თითქმის მოსალოდნელი იყო, რომ შესწყდებოდა ზრუნვა ეკონომიკისა და ცივილიზაციის „დაცვაზე“, რომლებსაც არავითარი საფრთხე არ მოელოდა. მაგრამ ეს არ მოხდა. პირიქით, ზრუნვა გაძლიერდა. ბრიანის შემდეგ გამოვიდა ვაჭრობის მინისტრი ფლანდენი, ვარშავის კონფერენციის ათინისა. მოჰყვა, შემდეგ ბუქარესტისა. საფრანგეთმა გადმოისროლა მთლიანი ფრონტის ლოზუნგი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და გაატარა კანონი სპეციალური ნებართვის შესახებ საბჭოთა კავშირიდან შემოტანილ საქონელზე. მას მიჰბაძა უნგრეთმა, რომელმაც ასეთივე კანონი შემოიღო. ანალოგიური „ღონისძიებანი“ დასახული ავსტრიაში და ბელგიაში: ხოლო ამჟამად ფლანდენი, რომელიც ბალკანეთში მოგზაურობს, აქეზებს რუმინეთს, სამხრეთ-სლავიას, უნგრეთს და პოლონეთს შეჰქმნან „აგრარული ქვეყნების ანტანტა“ საექსპორტო შესაძლებლობათა უზრუნველსაყოფად და საბჭოთა ექსპორტისაგან დასაცავად.

ამგვარად ანტისაბჭოთა ფრონტი ისახება საფრანგეთის ვასალური აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემადგენლობით თვით საფრანგეთის მეთაურობით.

რა არის მიზეზი საფრანგეთის კაპიტალის აგენტების და მისი ვასალების ანტისაბჭოთა მოქმედების გამოცოცხლებისა?

დიდი ხანი არ არის ეს ნაწილობრივ გამომჟღავნებული იყო „ტან“-ის ფურცლებზე, რომელიც ნიღაბს ხდიდა იმ შიშს, რომელსაც საფრანგეთის ბურჟუაზია განიცდიდა ხუთწლედის უკვე მეორე წელს სოციალიზმის მშენებლობის ეკონომიური ზრდისაგან. მაგრამ ეს უფრო ნათლად გამოაშკარავდება, თუ ჩავიხედავთ ევროპიული გაზეთების ბირჟის ანგარიშებში, ან კიდევ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის 7 ნოემბრის ლონდონის კორესპონდენციაში. თურმე მსოფლიო ბირჟას ის აწუხებს, რომ საბჭოთა კავშირი არა თუ მარტო აწარმოებს ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტს, არამედ მიმდინარე წლიდან ცდილობს ორგანიზაციულად აღადგინოს თავისი პურის ექსპორტი, რომელიც ომის შემდეგ შესწყდა და გამოდის ხელახლა მსოფლიო ბაზარზე, როგორც პურის მიმწოდებელი.

კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის ბაზარზე მომავალი 12 თვის განმავლობაში გამოჩნდება 3 მილ. ტონამდე საბჭოთა პური. „ეს ბევრი არ არის, ეს იმის მესამედია, რაც რუსეთს შემოჰქონდა ომამდე, 1903—1913 წ. მაგრამ ეს უკვე დასაწყისია... ეხლა მოგვეხდება ანგარიში გაუწიოთ საბჭოთა რუსეთს, როგორც პურის მიმწოდებელს მსოფლიო ბაზარზე“.

აი სწორედ არ სურთ ანგარიშის გაწევა ბატონ ფლანდენს და მის ზურგს უკან მდგომ კაპიტალისტების ხროვას. მათ სურთ პირიქით, გამოაგდონ საბჭოთა კავშირი პურის მსოფლიო ბაზრიდან, რომ არ მისცენ საბჭოთა კავშირს მუდმივი ფინანსიური წყარო ხუთწლედის საქმეებად. ისინი ისწრაფვიან შექმნან თავიანთი „აგრარული“ ბლოკი, რომ საბჭოთა პურისათვის სპეციალური დაბრკოლებების შექმნით შეეცადონ მისი ექსპორტის შეწყვეტას და სადაც კი შეიძლება საბჭოთა პური შესცვალონ მცირე აგრარული ქვეყნების პურით.

ასეთია სიმართლე საბჭოთა დემპინგის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენა მარაბდელი

## (ნაწყვეტი მეექვსე თავიდან)

არსენამ როსტომს მარაბდის ამბავი გამოჰკითხა, ზოგი შესატყობარი შეიტყო და ცხენი დასძრა. როსტომი და ზურა წართმეულ ცხენებზე შესხდნენ და ბელადს აქეთ-იქიდან ამოუდგენ.

— შინ დარჩები თუ არსენას გაჰყვები? — ჩუმი ხმით ჰკითხა დათუნამ ფიქრიას, რომელსაც გვერდით მოსდევდა.

— შინ რა მინდა? — მიუგო ქალმა. — მაიორი ხვალ ან ზეგ ისევ ამოვა და მომიტაცებს. — და სულ ჩუმად დაუმატა:

— ერთხელ გადავურჩი და მეორედ ველარ გადავურჩები. შენა?

— ერთი საქმე მაქვს, გავათავებ და მეც ტყეში წამოვალ.

— მართლა? — გაუხარდა არსენას დას. — ნამდვილად ამოხვალ?

— ნამდვილად. მელოდებოდე. — და გაჩუმდა, რადგან ღვთისავარმა ფიქრიას მეორე მხრიდან ამოუყენა ცხენი.

მცირე რაზმი ოძელაანთ სახლის წინ შესდგა. პაპა მახარამ დერეფნიდან გამოხედა და კინაღამ ჩაიკეცა. ღვთისავარი, მელანო, ერეკლე და დათუნა ჩამოხტნენ. არსენამ კი დანარჩენებს ჩუმად მიუგო: — თქვენ ნუ ჩამოხვალთ. დრო არ არის. გამარჯვება, პაპილო! აბა, ვინცა რჩებით, მშვიდობით იყავით. მალე გნახავთ.... დედი, რა დროს ტირილია! — და კინაღამ თვითონაც ატირდა. ცხენიდან დაიხარა და ოთხივენი დაჰკოცნა. — ერეკლე, არ შემარცხვინო... მამა-ჩემო, ყოჩაღად იყავი, არ მომიდრკე.. დათუნი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს... დედი, კმარა, მარაბდა ცრემლის ზღვაში ნუ დაახრჩე. აბა, ეხლა კი მომყევით. — და ლურჯას უმიზნოთ გადაუჭირა მათრახი.

უკვე ბნელოდა, მაგრამ ჯერ გვიან არ იყო და ცხენების თქარუნმა სოფელი გარეთ გამოჰფინა.

— შვილო არსენ... ძმაო არსენ. — ისმოდა ყოველ მხრივ. — სად მიეჩქარები, ბიჭო? მოგვიკითხავდი მაინც... შენ კი გენაცვალე, შენა... ორიოდე სიტყვა მაინც გვითხარი... შენი იმედით ვართ და არ მოგვატყუო.

— მხნედ იყავით... ჩემი იმედი გქონდეთ... ეხლა კი არა მცალიან. მომიკითხეთ ყველანი. — ისროდა აქეთ-იქით მარაბდელი და ცხენს ზაალის სასახლისკენ მიაქანებდა, თანაც როსტომ ჯორჯიაშვილს რაღაცას ჩასჩურჩულებდა. მერე რაზმელებს მიუბრუნდა და ჩუმი ხმით მიუგო:

— დამბაჩები დაამზადეთ, მაგრამ სანამ არ გეტყვით, არ გაისროლოთ.

და შავი რაზმი ზაალის აივანს მიახლა. მიახალა და დამბაჩა დააქუხა. დააქუხა და თვითონაც დაიქუხა:

— ჰეი, ბარათაშვილო! გარეთ გამოდი, არსენა ვარ და შენი ნახვა მომწყურდა. — და სანამ ვინმე გამოვიდოდა, ჩუმი ხმით დაუმატა: ფიქრიავ, მაგდანავ, დამბაჩები ან ქვევით დაუშვით ან ზევით ასწიეთ, თორემ გაგივარდებათ და ფათერაკს წავეკიდებით. — და გრიალით მიაყოლა:

— თქვენ ჰეი, მოურავებო, გიგოლებო, გზირებო და დიაცებო, თაგვის სოროებიდან გამოძვერით და დამენახვეთ, რას მიმალულხართ სოროებში, რისა შეგეშინდათ!

არსაით არავინაც არ გამოძვრა. პირიქით, უფრო ღრმადაც შეძვრნენ. ცალფეხშიშველა გიგოლა გაიქცა, წაიქცა და მესერში გაძვრა. ფირუზა მოურავი სათონეში შევარდა. ბოლოს აივანზე კნეინა ხორეშანი გამოფარფაშდა და ზევიდან გადმოიჩიფჩიფა:

— შვილო, არსენა ხარ? რას გვერჩი, რა გინდა ჩვენგან?

— დიდ კნეინას ვახლავარ. მე დედაკაცებისთვის არც მირჩოლია და არც ეხლა ვერჩი. ზაალი მინდა, ზაალი! ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი და გამოვიდეს.

— შვილო, თუ დაგიშავა რამე, მისი თავი მე მაპატიე.

—დიდო ქალბატონო, ჯერ-ჯერობით მიპატიებია, მაგრამ სიტყვა მაქვს მეთქი სათქმელი და ე მაგ აივანზე გადმოდგეს.

— ხომ არას დაუშავებ, შვილო?

— არა, დედი, არაფერსაც არ დაუშავებ.

ხორეშანი გაბრუნდა და ერთი წუთის შემდეგ ზაალი გამოიყვანა.

— გამარჯვება, ბიჭო არსენ! — გაბზარულ ქოთნის ხმით ჩამოსძახა ბატონმა.

— შენი გამარჯვება ღმერთმა ჩემ მტერსაც ნუ მისცეს, ზაალო.—ასძახა მარაბდელმა. — ეხლა ყური მიგდე და შემისრულე, თორემ მალე აგიტირებ მაგ კნეინებსა. რაც მაიორის წყალობით მარაბდელებისათვის სარჩო წაგირთმევია, ერთ კვირაში უკლებლივ უნდა დაუბრუნო. სთქვი, უბრუნებ თუ არა?

— დაუბრუნებ, ჩემო არსენ. შენი ხათრით დაუბრუნებ.

— აგრე. ეს ერთი. — და „ხათრის“ გამო გულში ჩაიცინა. —ამას იქით მარაბდელებს ბისტის-ოდენა ღალასაც აღარ გამოართმევ, ყმებსაც გაანთავისუფლებ და სადავო მიწებზედაც ხელს აიღებ. დღეის იქით შენვე მოხანი, შენვე დათესე და შენვე შეხეთქე. მითხარი, აგიღია ხელი თუ არა?

— ამიღია, ჩემო არსენ, ამიღია. — კანკალით ჩამოაგდო ბატონმა.

— აგრე. ესეც ორი. რაც ხალხი დააჭერინე, ერთ კვირაში ყველა გამოაშვებინე. დღეს ჩემიანები მე თვითონვე გამოუშვი და ყური უგდე, რომ ხელახლა აღარ დაიჭირონ. სიტყვა გიჭირს და გამოიყენე, თორემ... პირობას მაძლევ თუ არა?

— გაძლევ, გაძლევ. — ჩამოიკნავლა ზაალმა.

— აგრე. ესეც სამი. რაც განჯინაში ოქრო - ვერცხლი მოგიგროვებია, სულ ჩვენი ნაოფლარია. ქვეყანაზე ათასი ქვრივ-ობოლია და იმათ უფრო შეერგების. საცა სამართალია, გლეხისა ისევ გლეხს უნდა დაუბრუნო. მაგრამ ეხლა იმას პატრონი აღარ უჩანს და ისევ შენ შეხეთქე. ეხლა კი მამა-ჩემის ნაპოვნი ხაზინა უნდა დამიბრუნო. სთქვი, იძლევი თუ არა?

ბატონს გული გაუსკდა. შარშან ღვთისავარმა ბირთვისის ციხეში ერთი კოჭობი ოქრო და თვალი იპოვა, მაგრამ ზაალმა გაუგო და წაართვა, რადგან უძველეს კანონში ეწერა: ყოველივე ყმისა ბატონისა არისო.

ზაალი ყოყმანობდა. დიდედა ხორეშანმა რაღაც ჩასჩურჩულა.

— იძლევი მეთქი თუ არა? — ისე ასძახა არსენამ, რომ ზაალი სულსაც კი მისცემდა, და ძლივსღა ჩამოახრიალა:

— ვიძლევი, ჩემო არსენ, ვიძლევი.

— აგრე. ესეც ოთხი. იმავე განჯინაში ძველი დროშა გიყუდია, თქვენ დაბერდით და ველარ ატარებთ, ჩვენ კი ეს-არის ეხლა დავიბადენით, მკლავიც გვიჭრის, გულიც გვერჩის და თქვენზე უკეთ მოვუვლით. იძლევი თუ არა?

— ვიძლევი, ვიძლევი. — თითქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნატახტარის წყალსადენი

## კიდევ ერთი გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე

უკანასკნელ წლებში, თბილისის მოსახლეობის სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, სარგძნობი გახდა სასმელი წყლის ნაკლებობა. ავჭალის წყალსადენი უკვე ველარ აკმაყოფილებს. გადიდებულ მოთხოვნილებას. სადენის წყალზე. 1929 წელს დაიწყო ახალი გრანდიოზული წყალსადენის აგება, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებია არა მარტო თბილისის, არამედ ახლო მახლო მდებარე ადგილების მოთხოვნილებაც. მშე-ლოოდ დამთავრდება 1931 წლის დასასრულს.

ნატახტარიდან თბილისამდე, არაგვისა და მტკვრის მარცხენა ნაპირზე --26 კილომეტრის მანძილზე — გაჭიმულია თუჯის განიერი მილები,



ნატახტარის წყალსადენი. ხიდი რომლის ქვეშაც გადის წყლის მილი. მთავარი მილი

ამის გამო დაისვა საკითხი ახალი წყაროების გამონახვის შესახებ და 1929 წელს გამონახულ იქნა კიდევაც ასეთი წყარო ნატახტარში.

ნატახტარის წყაროების წყალი ხარისხითაც და რაოდენობითაც გაცილებით მაღლა დგას ავჭალის წყალსადენისა. ჩვენი სოციალისტური მშენებლობა სწრაფი ტემპით განვითარდა და უკვე ეხლა ჩვენს წინაშე არის არა პერსპექტივა, არამედ ხელშესახები ამბავი — ნატახტარის წყალსადენი, რომლის მშენებლობა საბოლოოდ დამთავრდება 1931 წლის დასასრულს, რომლითაც თბილისის მოსახლეობა მიიღებს ცივ და ანკარა წყალს.

მდინარე არაგვზე აგებულ ახალ ხიდის ქვეშ ლარივით გაჭიმულან მილები — ნატახტარის მთავარი ძარღვები — რომლის ზიმოდან გაკეთე-

---

სიხარულით ჩამოსძახა მეწინავე დროშის გუშაგმა.

— აგრე. გაამოს. ესეც ხუთი და უკანასკნელი.

ეხლა როსტომი აშოვა და განჯინანის კარი გაუღე, ის დროშა კი შენვე ჩამოიტანე, და შენვე ჩამაბარე. მოდიხარ თუ არა?

— მოვდივარ, მოვდივარ, — ჩამოკვნესა ბატონმა და შინ შევარდა.

ხურჯინიანი როსტომი იმავ წამს აივანზე ავარდა და ფეხდაფეხ შეჰყვა. ხუთიოდე წუთის შემდეგ დატვირთულმა ჯორჯიაშვილმა უკანვე ჩამოირბინა და ზაალიც ხვნეშით ჩამოჰყვა. ჩამოჰყვა და ხალთაში გახვეული დროშა არსენას მიაჩეჩა. მიაჩეჩა და თითქმის სირბილით გაბრუნდა.

— აგრე. — მადიანად განიმეორა არსენამ, დროშა მხარზე გაიდო, ლურჯა მოატრიალა და თავისიანებს მიაძახა: — მომყევ!

რაზმელები თავქვე დაეშვნენ და ალგეთ რომ გავიდნენ. ოძელაშვილმა მოიხედა და გორაკზე აყუდებულ სასახლეს ამოსძახა:

— ბარათაშვილო, პირობაზე მტკიცედ იყავი, თორემ დედას გიტირებ, დედასა! — და ცოტას რომ გასცდნენ, ალგეთური დასძახეს:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი;
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი არ სჭამონ მტრისანი.

როცა სიმღერა ჭალებში შესწყდა, გალეულილმა და გაძარცულმა ბატონმა თამამად გამოალაჯა აივანზე და შესძახა:

— ფიროუზ, გიგოლა, თედო! სადა ხართ, ხალხო?

— აქ გახლავართ, ბატონო, — და ისინიც თამამად გამოძვრნენ.

ზაალმა ხელები გაასავსავა და თითქმის ტირილით შესჩივლა:

— ვეჟო, ასეთი ამბავი გაგონილა?! ბუნტია, მაშ რა ჯანდაბაა!

— ბუნტია, შენი ჭირიმე, ბუნტი. — დაუმოწმეს ყმებმაც და ცხვირები მიწას ჩააბჯინეს.

მიხეილ ჯავახიშვილი.

ბულია გზა მიმოსვლისათვის. ეს გზა 6 კილომეტრით შეამცირებს მანძილს მცხეთიდან თბილისამდე და განტვირთავს საქართველოს სამხედრო გზას.

ნატახტარის წყალსადენი დღე-ღამეში თბილისს მოაწვდის 7.200.000 ვედრო წყალს. ეს ციფრი არც კი დაისიზმრებია ავჭალის წყალსადენს, რომელიც ექვსჯერ ნაკლებ წყალს იძლეოდა.

წყალი თავისი დენის ძალით წამოვა ფუნიკულიორის ქვედა სადგურამდე, ხოლო აქედან ზევით - კოჯრამდე, აგებული იქნება გადამქაჩავი სადგური.

თბილისს წყალი თავზე სასმელად ექნება და აღარ ექნება ადგილი ისეთ მოვლენებს, როგორსაც დღეს ვხედავთ, როდესაც დუქნის ონკანთან და ეზოში, როდის ინებებს წყალი მობრძანებას. გარდა ამისა გაუმჯობესდება ქალაქის სანიტარული მდგომარეობა.

წყალსადენის მშენებლობის ღირებულება უდრის 15 მილ. მანეთს.

ხუთწლედის მესამე წლის დამლევისათვის თბილისს ექნება ახალი წყალი.

მშენებლობას ხელმძღვანელობს ინჟ. **ლ. დიასამიძე.**

**თ. მ.**



მილების ჩაწყობა



ნატახტარის წყალსადენის მთავარი საგუბარი

# კოლექტიური შრომის შედეგები

ჩვენი სოფლის მეურნეობა გადაჭრით დაადგა სოციალისტური რეკონსტრუქციის გზას. ღარიბი და საშუალო გლეხთა ახალ ათასები და ათიათასები მოილტვიან კოლმეურნეობებისაკენ. იშლება საკოლმეურნეო მოძრაობის ახალი ხანა, რომელიც თანდათან იპყრობს ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო მასებს.

მიმდინარე წლის გაზაფხულზე, როდესაც თესვასთან დაკავშირებით აზვირთდა საკოლმეურნეო მოძრაობის ტალღა კულაკობა ასე მსჯელობდა:

— მართალია კოლექტიური მეურნეობები დაარსეთ, მაგრამ თესვას ვერ ჩაატარებთ და შიმშილით ამოწყდებითო. კულაკობა და სოფლის ყველა მუქთახორები არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით ეწინააღმდეგებოდნენ და ებრძოდნენ კოლექტიური შრომის გაშლას: კოლმეურნეთა ცემა, მათი ქონებისათვის ცეცხლის წაკიდება, დარბევა, იარაღით მუქარა, მკვლელობა და ათასგვარი სხვა მავნებლობა—აი ის საშუალება, რომელსაც მიმართავდა და დღესაც მიმართავს კლასობრივი მტერი კოლმეურნეთა წინააღმდეგ. კულაკობამ მშვენივრად იცის, რომ მთლიანი კოლექტივიზაცია მის, როგორც კლასის სიკვდილს მოასწავებს. ამის გამო კულაკობა სიკვდილის წინ ყოველგვარ ღონეს იკრებს, ბნელ ძალებს რაზმავს და ცდილობს დააბრკოლოს და ჩაშალოს საკოლმეურნეო მოძრაობა. კოლმეურნეობებში კულაკობა სიკვდილის წინ ყოველგვარ ღონეს იკრებს, ბნელ ძალებს რაზმავს და ცდილობს დააბრკოლოს და ჩაშალოს საკოლმეურნეო მოძრაობა. კოლმეურნეობებში კულაკობა ხედავს თავის ნამდვილ მესაფლავეს. ამიტომაა, რომ კულაკების იერიშები საკოლმეურნეო მოძრაობის წინააღმდეგ, დღითიდღე ძლიერდება.

## კულაკობის „წინასწარმეტყველება“ არ გამართლდა

კოლმეურნეობებმა საგაზაფხულო თესვა წარმატებით ჩაატარეს, ნათესების არე გაადიდეს და მოსავლიანობაც აწიეს. კულაკების პროვოკაციის ნიადაგი გამოეცალა და კოლექტიური შრომის ბრწყინვალე ეფექტი ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო გახდა. კულაკებმა ტონი შეიცვალეს და დაიწყეს მტკიცება:

— მართალია ბევრი დათესეთ, მაგრამ თქვენი ყანების მოსავალს მთავრობა წაიღებს და თქვენ, კოლმეურნეები, მშრალზე დარჩებითო.

კოლმეურნეობებში მოსავლის განაწილების მიმდინარეობა ბოლოს უღებს კულაკური და ყველა მტრულად განწყობილ ელემენტების ამ საზიზღარ ცილისწამებას. კოლმეურნეებმა დააგროვეს მოსავალი და თავიანთი სურვილის თანახმად ატარებენ მის განაწილებას. საერთო მოსავლიდან კოლმეურნეობებმა გადადეს სათესლე ფონდი, შრომის უნარმოკლებულთა შესანახი, განუყოფელი ფონდი და სხვ. ზედმეტ სასაქონლო პურს კოლმეურნენი მთლიანად სახელმწიფოს აბარებენ. პურის სპეკულიანტები ალაგმულია. კულაკი და ჩარჩი სამუდამოდ იდევნება გლეხური ნაწარმოების ბაზრიდან.

კოლექტიური შრომის ამ ბრწყინვალე შედეგების გამო ძლიერდება ახალი მოძრაობა კოლექტივებში შესასვლელად. ღარიბი და საშუალო გლეხობის ნაწილი, რომელიც „უცდიდა“ სამეურნეო წლის შედეგებს საბოლოოდ დარწმუნდა კოლექტიური შრომის უპირატესობაში და გადაჭრით მოითხოვს კოლექტივში მიღებას.

გლეხები აცხადებენ: აღარ გვინდა დამოუკიდებლად და გამოთავთავებულად მიწას ჩიჩქნა. ჩვენს მამა-პაპას წვრილი და უწვრილესი მეურნეობის წარმოების გამო სული ამოართვა აუტანელმა სიღარიბემ; დაგვიდგა დრო ნებარი და შეერთებული შრომით უნდა მივაღწიოთ შრომის სუფევას, უნდა ვასტეხოთ დაბეჩავება და სიღარიბე.

მთლიანი კოლექტივიზაცია იმარჯვებს. მშრომელი „გლეხკაცობა გადაჭრით მობრუნდა სოციალიზმისაკენ“; ღარიბი და საშუალო გლეხობის ამ მტკიცე გადაწყვეტილებას ვერაფერს დააკლებს კლასობრივი მტრების მავნებლური მანევრები.

სოფელი იცვლის სახეს, წვრილი და გამოთაყვანებული გლეხური მეურნეობა ადგილს უთმობს კოლექტიური მეურნეობის გიგანტებს. თოხს და კავს—ამ მშრომელთა ისტორიულად დაბეჩავების და ჩამორჩენილობის სამარცხვინო ნაშთს—სოფლიდან თანდათან აძევებს ტრაქტორი და ელექტრონი.

მიმდინარე საშემოდგომო თესვასთან დაკავშირებით კულაკობა და ყველა ჯურის მავნებელი ცდილობს თავი წამოყოს და ხელი შეუშალოს საკოლმეურნეო მოძრაობის ახალ გაშლას. მავნებლების ეს მანევრები ალკვეთილი იქნება ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ერთსულოვანი შემჭიდროებით და დარაზმვით. ღარიბი და საშუალო გლეხების ახალი ათიათასები კოლექტიურად ჩაატარებენ შემოდგომის თესვას და ამით სასიკვდილო ლახვარს ჩასცემენ კულაკთა და მყვლეფელთა კლასის ისტორიულად განწირულ ნაშთებს.

იცვლება საბჭოთა სოფელი. კვდება კულაკთა კლასი, და თან მიაქვს უდიდესი სევდა მუქთახორული ცხოვრების მწარე მოგონებისა. მთელის კოლმეურნეთა მილიონიანი არმია ახალი ტექნიკით, კოლექტიური შრომით და ძმური ერთგულებით შეკავშირებული. ყველაფერით მტკიცდება, რომ „ხუთწლედის ბოლოს საბჭოთა კავშირის კოლექტივიზაცია ძირითადად უნდა დასრულდეს“.

**დევიძე.**

# ნიკო ლომაური

**(გარდაცვ. 15 წლის შესრულების გამო)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობილი გლეხთა მწერალი და ხალხოსანი ნიკო ლომაური დაიბ. 1852 წ. სოფელ არბოში, ცხინვალის ახლოს. დიდი და პატარა ლიახვის შუა, ვენახოვანსა და ბაღებიან ხეობაში.

ამ სოფელში, რომელიც თავად გედევანიშვილების საყმოს შეადგენდა, დაწინაურდა ერთი ახალგაზრდა გლეხი ლომაურთაგანი, რომელიც შემდეგში, როგორც მწიგნობარი, მებატონეს ღვდლათაც უკურთხებია. ეს არის იოსებ მღვდელი—მამა ჩვენი მწერლისა.

გედევანიშვილები, რასაკვირველია, უკადრისობდნენ იოსების მოძღვრობას, მაგრამ ვერც იოსების მაკურთხეველი მებატონის წინაალმდეგ წავიდნენ და იოსებიც „შერჩათ“ კარის მოძღვრათ.

მაშინდელი გლეხის და მებატონის ურთიერთობის დამახასიათებელი ერთი საინტერესო ამბავი:

— რომელიღაც გედევანიშვილს (მარხავენ. ღვდელი ლომაური საკურთხევლიდან გამოდის ანდერძის ასაგებად. მწუხარე დედას ვერ აუტანია, რომ მის „ბრწყინვალე“ შვილს გლეხი უგებს წესს და გამწარებული შეჰკივლებს:

— ვაიმე შვილო, რას მოესწარი, რა დღე დაგვდგომია, ნეტამც ორივე ერთად ჩავქოლილიყავით. აფიქი, დაინახე,—შენი ნაყმევი გიგებს ანდერძს! ვაი ჩვენს მოსწრებას!

იოსებ ღვთელი ვერც სასულიერო მთავრობამ აიტანა. საქართველოს ეგზარხოსმა „რაღაც საქმეზე“ წაართვა მრევლი და ულუკმოთ დატოვა. მაგრამ ენერგიული იოსები არ შეშინდა და რამდენიმე წლის საჩივრების შემდეგ მრევლი უკანვე დაიბრუნა, მაწამდის კი, საჩივრების პროცესში, მისი ოჯახი უკვე განადგურებული იყო. იოსებმა ველარ გაუძლო ამდენ ბრძოლას საეკლესიო ბიუროკრატიზმთან და მალე გარდაიცვალა.

პატარა ნიკოს გაზრდა იკისრა მისმა ბიძამ ივანე ლომაურმა. თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ნიკოზე დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა **იაკობ გოგებაშვილმა.**

— „მათუსალასაც რომ გადავაჭარბო ხნით, მაშინაც არ დამავიწყდება იაკობის სიყვარულით!“—იტყოდა ნ. ლომაური.

ცნობილია საერთოდ მაშინდელი სასტიკი რეჟიმი, განსაკუთრებით სასულიერო სასწავლებლებში, რომლისაც უვიცი და გარყვნილი ბერები გახლდნენ. ვერც პატარა ნიკო ასცდა მათს მრისხანებას.—გაბრაზებულმა მასწავლებელმა ქართული ლაპარაკისათვის პატარა ნიკოს ხელში „ლინეიკა“ ჩაარტყა, რის შედეგად მას დაჰყვა სამუდამო კანკალი ხელისა.

სასულ. სასწ. ოთხი კლასის დასრულების შემდეგ ნიკო გადაჰყავთ თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ კი ნიკოსთვის იწყობა ნამდვილი შეგნებული ცხოვრება. ეს ცხოვრება სუნთქავდა სამოციანი წლების ჰაერით, იმ დიდი ხალხის მოღვაწეობით, რომელთა სახელები იყო: ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, უსპენსკი, ნეკრასოვი. სემინარიას ჰყავდა მაშინ საუკეთესო მებრძოლი ახალგაზრდობა, რომელშიც ირჩეოდნენ: სოსიკო მაჭრაძე (პოეტი), შიუკაშვილი, გიორგი უთურგაური, ანტონ ნატროშვილი, იონა მეუნარგია, სოფრომ მგალობლიშვილი. ეს წრე თავმოყრილი იყო ჟურნალ „მნათობის“ გარშემო, რომელსაც ხელმძღვანელობდა ანტონ ფურცელაძე. სემინარიელებს თავის ზურგზედ გადაჰქონდათ ჟურნალი. ისინი იყვნენ: მთარგმნელები, მწერლები, ამწყობები, კორექტორები და ექსპედიტორებიც კი.

მაგრამ ამ დროს სემინარიაში რექტორათ დაინიშნა ცნობილი შავრაზმელი ივანე კუშინსკი. არა თუ „მნათობში“ მუშაობა, ქართული ლაპარაკიც კი აიკრძალა სემინარიის კედლებში, მაგრამ არც ახალგაზრდობა იყო გულზე ხელდაკრეფილი და ცხარე პროტესტით შეეგება კუშინსკის პოლიტიკას. სხვათა შორის, სემინარიაში არალეგალურად შემოდიოდა „დროება“, „სოვრემენნიკ“-ი და სხვა თანადროული წიგნები. სემინარიის მმართველობამ შენიშნა ეს და ერთ დღეს საგანგებოდ მოწვეული ჟანდარმები დაახვია სემინარიის გარდერობს. წაიღეს ყველაფერი: ხელნაწერი ჟურნალები, დღიურები, და საერთოდ დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ლიტერატურა სემინარიელებისა. რასაკვირველია, მოწაფეები ყველა დასაჯეს და მათში, ნიკოსაც მოუსპეს სააღდგომო შვებულება. მაგრამ სემინარიელებმაც უპასუხეს „ბუნტით“. მდგომარეობა აუტანელი გახდა. რეპრესიებს უმატეს. სასწავლებელი ჯაშუშებით აივსო. მაგრამ მოწაფეთა კავშირმა დაადგინა: უფრო ზედმიწევნით შეისწავლონ „სოვრემენნიკი“, უფრო ხშირად იკითხონ ქართული წიგნები: „ქართლის ცხოვრება“, „ვეფხის-ტყაოსანი“ და სხვ.

ასეთ პირობებში სწავლობდა მომავალი ხალხოსანი მწერალი სემინარიაში, რომელიც დაასრულა 1857 წელს.

სემინარიის დასრულების შემდეგ ნიკოს იდეალი იყო უნივერსიტეტი და ბავშვის ექიმობა. მაგრამ ძველი ენების უცოდინარობის მიზეზით ვერ აისრულა განზრახვა. ბედმა გასტყორცნა კიევის სასულიერო აკადემიაში, სადაც ისტორიულ ფაკულტეტზე ჩაეწერა. ნ. ლ. ვერც აკადემიის მრისხანე დეკლერიკალურმა რეჟიმმა მოსტეხა და აკადემიიდან (1881 წ.) ნიკო დაუბრუნდა სამშობლოს ისევ ისე გატაცებული „ხალხოსანი“. ეხლა უფრო თავისუფლად ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში და განსაკუთრებით დაუახლოვდა გლეხობას, რომელთანაც კავშირი არასდროს არ გაუწყვეტია.

„პატარა ქაჯანას“ და „ალის“ ავტორი სიკვდილამდე განუყრელი მეგობარი იყო ქართველი გლეხისა.

გაათავებდა თუ არა სამსახურს მაისში,—გვიამბობს მისი მეზობელი გლეხი, ნიკო გაჩნდებოდა სოფელში, მაგრამ არა დასასვენებლად. შემოვეხვეოდით და მოსვენებას არ ვაძლევდით, არა მარტო ჩვენი ხეობიდან, ზემო ქართლიდან, საციციანოდან, მაჩხეთიდან და სხვ. ისიც ყველას გვშველოდა, რჩევას გვაძლევდა, არზებს გვიწერდა, შვილების სკოლებში მიღებაზე გვეხმარებოდა და სხვ. განსაკუთრებით დიდი ამაგი აქვს ნიკოს ქართლის გლეხკაცობაში 1905-1906 წლებში.

იმ ხანებში თავად ფალავანდიშვილებმა სოფელს ეკზეკუცია ჩააყენეს. ხალხი გამწარდა. ველარ გაუძლო ყაზახების საშინელებას. შეწუხებულებმა გადასწყვიტეს ნიკოს შუამავლად გაგზავნა თავადებთან. ნიკოც ასრულებს მათს თხოვნას და გორიდან საგანგებოდ მიემგზავრება, სოფლისთვის სასჯელის მოხსნის სათხოვნელად. მაგრამ ფალავანდიშვილები მრისხანედ ისტუმრებენ ნიკოს შემდეგი სიტყვებით:

— „შენ გარყვენი გლეხკაცობა, ამ „არეულობაში“ შენ თითონ გიდევს წილი და მადლობა შესწირე, რომ ციმბირს არ გიშვებთ!“ დამსჯელი რაზმი არ მოხსნეს და განწირულმა გლეხებმა გადასწყვიტეს იმავე ღამეს თავს დასხმოდნენ ყაზახებს და ამოეწყვიტათ და მერე თითონაც გაწყვეტილიყვნენ. მაგრამ გადაწყვიტეს, რჩევა ნიკოსთვის ეკითხათ. მართლაც შუაღამისას გორში ნიკოსთან ფარულად შევიდა გლეხთა წარმომადგენლობა, გათენებამდის გასტანა თათბირმა. ნიკოც აღელდა და არ იცოდა როგორ დაემშვიდებინა გლეხკაცობის მრისხანება. მაგრამ ნიკომ შესძლო შეეჩერებინა ნიაღვარი და აეცდინა გლეხებისათვის უაზრო ჟლეტა და განადგურება.

1905 წ. ესერმა ლენკო ხერხეულიძემ ყუმბარა ესროლა რომელიღაც პოლიციელს, მაგრამ უმბარამ პოლიციელი მხოლოდ დასჭრა, ხერხეულიძე კი იმსხვერპლა. ამ ამბავმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართლის ახალგაზრდობაზე, და მან გადასწყვიტა საჯაროდ პანაშვიდის გადახდა ს. არბოში.

აღფრთოვანებულმა გლეხკაცობამ მოიყარა თავი არბოს გალავანში—გადმოგვცემს დამსწრე. პანაშვიდი გათავდა, მაგრამ საჭირო იყო გლეხკაცობისთვის განმარტების მიცემა და საგიტაციო სიტყვის წარმოთქმა. რამდენიმე ახალგაზრდას სიტყვებიც ჰქონდა წინასწარ დამზადებული, მაგრამ გლეხობასთან რაღაც მიზეზით, თუ აღელვებით ვერ მოახერხეს სიტყვის თქმა. დადგა უხერხული მომენტი. მდგომარეობა დაიხსნა ნიკომ, რომელმაც მთელი საათი ილაპარაკა მთავრობის წინააღმდეგ.

1881 წ. ნიკო მიიწვიეს ქართულ გიმნაზიაში ინსპექტორად, სადაც დაჰყო 1883 წ. მისი ყოფილი მოწაფეები ეხლაც დიდი სიყვარულით იგონებენ იმ დღეებს. გიმნაზიის დატოვების შემდეგ 1884 წ.—1915 წლამდის, გორში გადავიდა ქართული ენის მასწავლებლად სათავადო სემინარიაში, სადაც მას ჰყავდა ბევრი მტრები და მათ შორის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი იონოვსკი და დირექტორი სლავინსკი, რომელმაც ისეთი ტირანობა გამოიჩინა ქართული ენის წინააღმდეგ, რომ მუდამ უწყინარი ნ. ლ. ერთხელ გაცოცხლებული მივარდა თიზიკური შეურაცხყოფის მისაყენებლად.

ნ. ლ. მოწაფეები გორის სემინარიიდან არიან: **ვაჟა ფშაველა, შიო მღვიმელი, ბაჩანა, თედო რაზიკაშვილი; ია ეკალაძე; ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.** თითეული მათგანი უზომოდ დავალებულია ნ. ლომაურისგან.

ნ. ლ. პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზ. „დროებაში“ 1868 წ. მას მოჰყვა სხვა ლექსები ჟურნალ „მნათობში“, „იმედი“, „ყანვა და პატარა მოწაფე“ თარგმანები: „მილიონის პატიმარი“, შევჩენკოს—„მუშა ქალი“ და სხვ. ჯერ კიდევ კიევის აკადემიაში მან დასწერა მოთხრობა „ალი“, ხოლო თბილისში, ქართულ გიმნაზიაში ყოფნის დროს, პოპულიარული მოთხრ. „ქაჯანა“, შემდეგ: „ბერუა ქრისტესაშვილი“; „სამფეხა ამირანა“, „ქრისტიანი ლომები“; „გიგო ლრუბელაშვილი“, „ყოველის მხრიდან“; „ბედი უბედურთა“, „წინაპართა აჩრდილნი“ და სხვ. უკანასკნელი მოთხრობა „პაწია მეგობრები“ დაიბეჭდა 1907 წ.

საერთოდ არ შეიძლება ნ. ლ. დიდათ ნაყოფიერ მწერლად ჩავთვალოთ. ამისი მიზეზი იყო: საშინელი პირობები პირადი ცხოვრებისა, მასწავლებლობა, დევნა და სიღარიბე და შემდეგ დიდი მწერლური პასუხისმგებლობა, რომელიც ასე ახასიათებს ნიკო ლომაურს.

—ყოველ თავის ნაწარმოებს,—ამბობს მისი შვილი იულონ ლომაური,—დიდხანს ამუშავებდა. 15-ჯერ გადასწერდა და კიდევ არ ემეტებოდა სტამბისათვის. მაგ., „გიგო ლრუბელაშვილს“ ის სწერდა 10-15 წელიწადი. უბრალო კორესპონდენციას არ გაგზავნიდა გაზეთში, რომ სამჯერ მაინც არ გადაეწერა. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ შედარებით იგი ცოტას სწერდა და ბეჭდავდა“-ო.

თუ თავისთავისადმი ასეთ სიმკაცრეს იჩენდა, არა ნაკლებ მკაცრი იყო სხვებისადმი. ერთს კერძო წერილში, სადაც გამოხატავდა აზრს თანამედროვე ქართულ მწერლობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე კერპად ჰყავდა აღიარებული, მასაც კი ზოგან უსაყვედურებს შემთხვევით შეპარებულ რუსიციზმებს.

აკაკი წერეთელს პირში უკიჟინებდა ზერელობას და ლექსების დაუმუშავებლობას. ცხარე ბრძოლა ჰქონდა მწერლობის გარშემო ანტონ ფურცელაძესთან და მის მიმდევრებთან.

ლომაურის იდეალი რუსულ მწერლობაში იყო ტურგენევი, მისივე საშუალებით მან გაიცნო ფლობერი.

აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო გამართულ საღამოზე, უკანასკნელად ის გამოვიდა თავისი მშვენიერი სიტყვით. ამ საღამოზე გაცივდა და თვე ნახევრის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა (1915 წ.) ქ. გორში.

**ბ. ლ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბერი

მეცამეტე ზეიმს იხდის
ოქტომბერი!
ხამოუდამოთ
გასრესილი
გდია მტერი.

და სიმღერა
ისე გრგვინავს
ხალხის ზღვაში,
როგორც მეხი,
გავარდნილი,
მთიდან—მთაში!

სჭექს ტრიბუნი:
წინ—წინ,
ახალ მრეწველობით!
ხუთ წელში ვქმნით,
რაც არ ქმნილა
ათას წლობით.
და ყიჟინა
ისე გრგვინავს
ხალხის ზღვაში,
როგორც მეხი,
გავარდნილი,
მთიდან—მთაში!

ჩვენ გიგანტებს
ვინც ერთხელ თვალს
შეაჩერებს,—
მომღერალიც
რომ არ იყოს,—
დაიმღერებს!
აქ მუნჯიც კი
ამოიდგამს
დაბმულ ენას
და ორჭოფი
განიმტკიცებს
მერყევ რწმენას!
ვინც წინაშწარ
მტრულ განზრახვით

ჰხუჭავს თვალებს,—
ის ვერ მხედავს
ჩვენს მიღწევებს,
ჩვენს მწვერვალებს.

ნურც ელირსოს
თვალით სინათლე
მავნე ძალებს
და მათ ამყოლ

ვიგინდარა
მაანჩალებს!
ჩვენს მწვერვალებს!
ველარავინ შეაჩერებს;

გადავლახავთ
დაბრკოლებს
ნაპრალ-სერებს
და ხელს მოვცემთ
ალსადგენათ
ჩაგრულ ერებს!
ამ განიაშით
მოვჭქრით გზაში,
მივიმღერით
და ფრთებსა შლის
მზის კაშკაშით
ოქტომბერი!

ბ. ქუჩიშვილი.



საქ. ს. მ. უ. საბჭოთა ცემენტის ქარხანა სადგ. კასპში ქარხანა წელიწადში დაამზადებს 1 მილიონ კასრ ცემენტს. მშენებლობის ღირებულება 5 მილიონ მანეთს უდრის
საკომპრესორო განყოფილების მშენებლობა კ[...]ვერო ბურღვისათვის. საშლამო განყოფილება. გრძელი მილიმბრუნავი ღუმელია ცემენტის გამოსაწვავად

# ინდუსტრია

არ მინდა გრძნობა
იყოს უაზრო,
რომ იგი მუდამ
გონებას მტრობდეს,
მსურს ლირიკოსის
ხმები სინაზის
მანქანის გრიალს
რომ გაუტოლდეს.

მახსოვს—
„წითელი პუტილოველი"
ინდუსტრიალურ
ცეცხლს, რომ ახანძრებს
მან დაარბია
სისხლის მწოველი
და მანქანები
ზეთით გაძლო.
ვინც ძველი ყოფა
დაგმო, ახაგა
გმირულ შრომაში
რა მოახ[...]

სამჭროებმა
ძარღვი დაძაბეს
და ასრულებენ
ოთხწელში—ხუთწლედს.
ცეცხლშია ცეხი
მრავალ მოდელის,
და ელლუმელი
ლითონებს ადნობს,
მავთულზე დინი
შეულს მოდენის
და ზიდავს ზოდებს
ნედლეულ მადნის.
ახლად აგებულ
ლოკომოტივის
ხმები სამუმის
კივილს მაგონებს,
მუშების მარჯვენს
ოფლი „მოტირის"
და აშენებენ
მრავალ ვაგონებს.
სახელოსნოში
ჰქმნიან ავტოებს
ქუჩა ვერ იტევს
ტრაქტორთა გრიალს
დაზგებს უბრალოდ
აღარ დატოვებს
საამქროების
დამკვრელთა რიგი.
შორით მოსჩანან
კრეისერები,
რომ გააჩაღონ
მებრძოლი ცეცხლი,
შავ მანქანებით
ამოიცხება
კომუნისტური
დამკვრელი ცეხი.
იყო ქარხანა
პუტილოვის და
დღეს ინდუსტრიის
ხანძარს გვიგზავნის—
კაპიტალიზმის
მტერი მოსისხლე
და მშენებელი
ახალ მიზანის.

კალე ბოგოხიძე.



კასპის ცემენტის ქრხნის მშენებლობის სხვადასხვა მომენტები

# ბამბა დაზგებს!

საბჭოთა საქართველო სოციალისტურ მშენებლობის გზაზე მდევის ნაბიჯით მიიწევს წინ. სამუდამოო ბოლო ელება ფეოდალურ-კაპიტალისტური ურთიერთობის ნაშთებს და თანდათან შევდივართ სოციალიზმის ნანატრ სამეფოში.

ჩვენ მშრომელ მოსახლეობას საუკუნოების განმავლობაში სულს უხუთავდა ეკონომიური უმწეობა და ჯოჯოხეთური სიღარიბე. ერთის მხრივ გაბატონებულ კლასების მუქთა-ხორული თარეში და მეორეს მხრივ მეურნეობის ტეხნიკური განუვითარებლობა იყო მიზეზი მშრომელთა დაბეჩავების და აუტანელი სიღარიბისა.

კაპიტალიზმი და ყველა პარაზიტული კლასები პოლიტიკურად დაასამარა ოქტომბ. რევოლიუციამ. სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია ბოლოს უღებს ჩვენს ნივთიერ ხელმოკლეობასაც. ამგვარად გახსნილია ფართე ასპარეზი საუკუნოებრივ სიღარიბის დასაძლევათ და შრომის სამეფოს დასამყარებლად.

სოციალისტური ინდუსტრია არის მომავალი სოციალისტური საზოგადოების ქვა-კუთხედი — საფუძველი. ხუთწლედი არის არა ეტიუდი და პროზა, არამედ ბუმბერაზული სინამდვილე. ის მდგომარეობა, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ხუთწლედს ოთხ წელიწადში ანხორციელებს — გვეუბნება იმას, რომ სოციალისტურ მშენებლობის გზაზე მებრძოლ დამკვრელთა მილიონების გამარჯვება უზრუნველყოფილია.

ჩვენ უკვე აღარა ვართ ბრიტანეთის ლორდების და დოლარების ქვეყნის უბრალო ეკონომიური დამატება: პირიქით ჩვენი სოციალისტური წარმოება თანდათან იპყრობს ეკონომიურ ცხოვრების უმაღლეს მწვერვალებს. დედამიწის ერთ მეექვსედზე იქმნება სოციალისტურ ეკონომიკის უდიდესი და თვალწარმტაცი მოდელი, რომელმაც ბოლოს და ბოლოს თავის მსგავსად უნდა გარდაქმნას კაპიტალისტური მსოფლიოს უკუღმართობა.

საბჭოთა საქართველო, რომელიც მედგრად გამოვიდა სოციალისტურ მშენებლობის ასპარეზზე — ჩქარის ტემპით მიექანება ახალი ცხოვრებისაკენ. ჩვენს ქალაქებს თანდათან ემატებიან ახალ-ახალი სამრეწველო გიგანტები. იზრდება ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი და ვითარდება სოციალისტური ინდუსტრიის ბაზა.

მაგრამ სოციალისტურ ინდუსტრიას ხომ ესაჭიროება ნედლი მასალის უდიდესი მარაგი და... ჰა, ჩვენშიც იწყება სოფლის მობრუნება სოციალიზმისაკენ — კოლექტიური შრომისაკენ, მსხვილი საბჭოთა მეურნეობებისაკენ.

საქართველოს საფეიქრო მრეწველობის გაუმაძღარი ხახა ნედლი მასალით უნდა დააკმაყოფილოს ალაზნის, ბორჩალოს და ყარაიას ველების ბამბამ. ჩვენ მრეწველობის ნედლ მასალაში არ გვსურს ოქროები ვაძლიოთ ინგლისელ ფერმერებს. ჩვენ სოციალისტურ ინდუსტრიას სოციალისტური ნედლი მასალი ბაზას უქმნით.

საქართველოს გაფართოებული საფეიქრო მრეწველობის დასაკმაყოფილებლად მებამბეობის ყველა რაიონებში შექმნილია უდიდესი საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი. უკანასკნელად ამ რაიონებს შეემატა ალაზნის ველის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობა-გიგანტი. აღნიშნულ ველზე ბამბის ნათესები დაფარავს 12.00 ჰექტარს. ალაზნის ველის მებამბეობის საბჭოთა მეურნეობა მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალის გარდა დაამზადებს საუკეთესო ხარისხის ბამბის თესლს, რომელიც კახეთთან ერთად დააკმაყოფილებს საქართველოში მებამბეობის ყველა რაიონების მოთხოვნილებას. ყველაფერი ეს სინამდვილეა. საამისოდ უკვე გაღებულია 2.000.000 მანეთი და 1.000 მუშა-ხელი უკვე ჩაბმულია ბამბის აღნიშნული გიგანტის მშენებლობაში.

მებამბეობის ასეთივე გიგანტი შენდება ყარაიას მსუქან და თვალუწვდენელ ველზე. სამელიორაციო ქსელის ფართოდ გაშლამ შესაძლებელი გახადა შამბნარი, ხრიოკი და დღემდე გამოუსადეგარი ყამირი ადკილების ტეხნიკური კულტურებისათვის გამოყენება. გადამწვარი ველები მოირწყო; უტეხი ჯაგნარი ფოლადის რაზმებმა — ტრაქტორებმა გადასთელეს და დღეს ამ მიუვალ ადგილებში ძვირფასი ტეხნიკური კულტურები ბიბინებს.

კიდევ ორიოდე წელი და... ჩვენი სოციალისტური მრეწველობა ქალაქის ნაწარმოებით უხვად გაავსებს სამომხმარებლო კოოპერაციის ყაფაზებს, ეს მოხდება ყველა ქალაქებში, ყველა სოფლებში. მაშინ ხომ ალალაფერი ექნებათ სალაყბო კულაკებს და მათ დამქაშებს, — მენშევიკური ბანაკის პროვოკატორებს, ქალაქის ობივატელ არამზადებს და ყველა მუქთახორა მაგინებლებს, რომელნიც სიხარულს ეძლევიან ჩვენი სოციალისტურ მშენებლობის დროებითი სიძნელეების და „ჩითის“ ნაკლებობის გამო.

მთავარი დაბრკოლება გადალახულია. სოციალისტური ინდუსტრიის საძირკველი მტკიცედ ჩაყრილია. ინდუსტრიალური გიგანტები მშრომელთა სამსახურისათვის რიგებში დგებიან. კოლექტივებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დიდი მასშტაბით დაიწყეს ბამბის მიწოდება დაზგებისათვის. ჩქლოვდება „მშრომელთა ვამპირის— კულაკობის“ (ლენინი) აღსასრულის დღეები.

სოციალისტურ დაზგებს სოციალისტური ბამბა — აი ის დევიზი, რომელსაც მტკიცედ ადგია და ანხორციელებს კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში გაერთიანებული ღარიბი და საშუალო გლეხ-კაცობა.

**დევინი.**



განჯა. ბამბის ფაბრიკა




მიუხედავად რეფორმისტების რეპრესიებისა გერმანელ მელითონეთა გაფიცვის ჩასახშობად, გაფიცვების ტალღა მაინც მძლავრად ედება მთელს გერმანიას.

სურათზე — მუშა - მელითონეთა დემონსტრაცია რევოლიუციონური პროფოპოზიციის ლოზუნგებით.

# ა ბ ა ს თ უ მ ა ნ ი

## გზადაგზა

— თქვენ საით? — შევეკითხე ჩემ თანამგზავრს, როცა ბორჯომის მატარებელი ქშენით შეიჭრა პატარა სადგურში.

— აბასთუმანში!—იყო ხრინწიანი პასუხი.

— ალბათ სანატორიუმში?

— დიახ, ჰლექიანი ვარ და იქნება მეშველოს რამე.—ჩაილაპარაკა დაბლა ჩემმა თანამგზავრმა და ავტობუსის მოახლოვებაზე ჯიბეები მოიქექა, ალბათ უფასოდ მგზავრობის ბილეთს თუ ეძებდა.

ჩემი დაეჭვება სწორი აღმოჩნდა. მან სოც დაზღვევის მიერ გაცემული უფასო ბილეთი გაუწოდა შოფერს და საჯდომი ადგილები ჩაათვალიერა.

— ვინ არიან კიდევ სანატორიუმში მიმავალნი?—გაათვრითხილა შოფერმა ახლად ჩამოსულნი.

მოვგროვდით... ჩავსხედით...

— პირველი ადგილი ჩემია!—კაპასობს ერთი ლამეპმელებილი დედაკაცი.

— !!

—აბა შოფერის გვერდით დავჯდები... უკან რა დამაჯენს? განაგრძო მანვე, როცა არავინ გამოედავა.

— შოფერთან ქალის დაჯდომა საავტომიმოსვლო წესით აკრძალულია.—შენიშნა ვილაცამ და შოფერის დასტურიც მოიშველია...

— უკან პრინციპზე არ დავჯდები... მე ხომ...—აილეწა ლამეპმელებილი.

— ალბათ დიდი კაცის ცოლია.—ჩაილაპარაკა ერთმა.

— ერთი შენც!—შეესიტყვა პირველს ფერწასული. ეტყობოდა, მძიმე ავადმყოფი იყო და ხველა აუვარდა.

ავტობუსი აშიშინდა, აბუქდა და...

— ბუ-უ. ბუ-უ-ბუ-უ. გაათვრითხილა სირენამ ქუჩაში მოსიარულე ხალხი. გზატკეცილი დაიკლაკნა ჩვენ წინ დაცემულ ჭალებში ჩაწოლილ მდინარესავით და უკან ჩამოვგრჩა ბორჯომ - ბაკურიანის ქედები, წიწვით მოჩითული ხეობა. სახელდახელოდ განაშენი ლიკანის ხეობანი და სასახლე.

გზატკეცილი პარალელურად მისდევს მტკვარს განაპირად და ყოველ ახალ მოსახვევებთან თვალწინ იშლება თვალწარმტაცი სანახაობა. წიწვით შექოჩრილი გორაკები.

დაბლა: წიფლნარი, ჩირგვები, კატაბარდები.

მტკვრის პირად: ჭალები, კარტოფილის, პურისა და სიმინდის ყანებით.

ყაყაჩოები პეპლებივით შესევიან ბარაქიან პურის ყანებს...

შესევია და წითლად მოუჩითავს.

აგერ აწყური.

აწყურის ციხის ნანგრევები.

ფეოდალური! საქართველოს ნაშთ-სიმაგრენი.

ირგვლივ მიუვალი კლდეები, მარცხნივ მტკვარი.

გარშემო: ხრიოკი მიდამოები... სიპი კარჩხლები...

კარჩხლები და მოტვლეპილი გორაკები, სომხეთში მინახავს ასეთი ადგილები.

გამოჩნდება ახალციხეც.

ორი საათია გზაში ვართ და უკვე 50 კილომეტრი აგვითოკავს ასე შეუმჩნევლად.

მტკვარს გაღმა: ძველი ციხე-სიმაგრე.

გალავანი მკვდარი და ნაცადი ხელით ნაშენი.

კედლებში სათოფე ჭუჭუტანები, შიგნით კოშკი.

გარშემო: ახალციხე (პლანი) კოხტა ევროპიული სტილის ქალაქი. განიერი ქუჩები, კოხტა ორსართულიანი შენობები.

— წინად იქ მშვენიერი ტყე ყოფილა, წიწვიანი ტყე.—ამბობს ერთი ხანში შესული ოსმალურ ყაიდაზე ჩაცმული თათარი.—მომსწრე კაცი ახლაც ცოცხალია, აბასთუმანში ცხოვრობს, გოდერძაშვილია გვარად 140 წლის იქნებაო, ამბობენ.

—ას ორმოცი წლის?

დავინტერესდი...

ჩავიწერე.

მიჰქრის ავტობუსი და დასიცხულ გზატკეცილზე გვერდებად იკლაკნება ნაცრისფერი ბუჩქი და კორიანტელი.

სოფელ უდეში ვართ: კათოლიკური სოფელია. თათრებიც ცხოვრობენ... კათოლიკები ქართული გვარებით. სახელები მეტწილად ფრანგული წარმოშობის. ედუარდ. ლიუდოვიგ—უდელების საყვარელი სახელებია.

სახლები მიწური, როგორც საერთოდ მთელ ახალციხის მაზრაში: ხშირია წერაკითხვის უცოდინარნი, მეტ წილად თათარ მოსახლეობაში.

მისდევენ: მემინდვრეობას, მეცხოველეობას, მეფუტკრეობასაც.

ყოველ ეზოში ყროყინებს დიდყურა „ბედაური“.

ახალციხური „ბედაურები“ განთქმული არიან თავიანთი სიდიდითა და სისწრაფითაც.

სამუშევარზე ქალები უფრო მოსჩანან, ვინემ მამაკაცები.

ხანშიშესულნი ჯერ კიდევ ჩადრებში გამოიყურებიან.

შრომობენ ქალები ბაღ-ბოსტნებსა და ყანებში...

მამაკაცები კი მეტ წილად საგარეო საქმეებს განაგებენ. ყოველ დილით მიაქროლებენ ხილითა, თუ სურსათით დატვირთულ „ბედაურებს" ახლო ბაზარზე და თვითონაც რაინდებივით „ბედაურებზე" წამოსკუპულნი ფეხებს მიწაზე მიათრევენ.

ერთი სიტყვის სავაჭრო, საალებმიცემო საქმეებს მამაკაცები განაგებენ ახალციხელ თათარ მოსახლეობაში.

საკვირველია: ძვალმაგარი ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ვაჟკაცი აღმოსავლური სიზანტითა და მოთენთილობით მიაბიჯებს შარაზე და ასევე დინჯად და ზანტად გაიძახის: მაწყვი, მაწყვი!

ავტო დაეშვა დალმართზე.

გამოვიარეთ კურცხანის ხეობა.

ტრიალში მინდვრები და უსიცოცხლო ტრიამალი შეიცვალა წიწვიან შავ გრუზა ტყეებით.

ხშირი ფიჭვნარი.

აქა-იქ ნაძვებიც.

წიწვნარში ქოლგებსავით შეუდარებელ სილამაზეს აყრის ხეები.

გორაკზე მოსჩანს თამარის კოშკი...

ეს კოშკი ობრხეს (ორხესაც ეძახიან) დარაჯობდა თავის დროზე...

იცავდა ოსმალოს თავდასხმებისაგან.

დღეს კი...

სასაცილოა და გოჯილას უფრო წააგავს მისი ნანგრევები, ვინმე რაიმე სათასურისა და სიმაგრეს... აბა რა სიმაგრეა დღევანდელ პირობებში რაღაც ხუხულა, რომელიც ერთი ყუმბარის აფეთქებაზედაც კი ნაცარ-ტუტად იქცევა...

ჩვენ უკვე აბასთუმანში ვართ.

პირველ სანატორიუმს ვათვალიერებთ.

80 კილომეტრი გამოვიარეთ სამი საათის განმავლობაში...

მაგრამ არავის არ აკვირვებს დღეს ეს სისწრაფე.

ოთხმოცი კილომეტრი...

მოტოციკლეტი ერთ საათში ჰფარავს ამ მანძილს ამავე ახალციხის გზატკეცილებზე...

## აბანოები:

მდინარე აბასთუმნის ნაპირზე გაუშენებიათ პირველი სანატორიუმი. ორსართულიანი შენობა 120 კაცის ადგილს იტევს.

იქვე ელექტრო სადგური, საბანაო აუზი და, რაც მთავარია, ცხელი აბაზანები, 48 გრ. აღწევს წყლის ბუნებრივი სიცხელე.

აბანოებს სამკურნალო მნიშვნელობაც აქვს.

ის იშვიათი დადებით გავლენას ახდენს კანის სნეულებასა და ქარებზე. აბანოს გიგიენური დანიშნულებაც დიდია. გარდა მოაგარაკეებისა, აბანოთი სოფლელები, განსაკუთრებით თათრები, სარგებლობენ: გლეხები ჩამოდიან შორეულ სოფლებიდანაც კი, აბანოს ახლო მდებარე სოფელში თათრები მოსახლეობენ, რომელთაც ხშირი ბანაობა ყურანით აქვთ ჩანერგილი, როგორც სარწმუნოებრივი რიტუალის ერთ-ერთი სახე; მოთხოვნილება აბანოზე დიდია, განსაკუთრებით გაზაფხულობით, მაშინ, როცა წინათ არსებულ 34 აბაზანში ამჟამად მხოლოდ 12 მოქმედებს რაც, ცხადია, ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

იწყება შუაგული აბასთუმანი.

შუაგული:—საკურორტო მნიშვნელობით ძველი ადმინისტრატიული დაყოფის მიხედვით, აბასთუმანი ერთ პატარა სოფელს ჰქვიან. აბანოების მახლობლად იმ ადგილებს, სადაც ამჟამად კურორტი არის გაშენებული, სანატორიუმები და სხვა სამკურნალო დაწესებულებები ძველად ოძრხზე (ოცხე) ერქვა. კურორტი გაშენებულია მდინარე აბასთუმანის მარცხენა და მარჯვენა პირზე. კოხტა ორსართულიანი შენობები, ადგილობრივი ქვით ნაშენი წყალსადენებითა და ელექტრო-განათებით მოწყობილი.

აქა-იქ რომანოვების სასახლეები...

სასახლე: საზაფხულო და ზამთრის ცალ-ცალკე.

მათ შორის ყვითელი დიდი მთავარის გიორგის სასახლე იპყრობს ყურადღებას.

შენდება ახალი შენობებიც მაგრამ...

ბინების სივიწროვე თვალსაჩინოა..:

გულსაკლავად გამოიყურება სამოქალაქო ომის პერიოდში დანგრეული სახლები... დღესაც არ არიან აღდგენილნი, მაშინ როცა საკუჭნაო და ყოფილი სავაჭრო ფარდულები ბინის სახით არის გაქირავებული ოთახების სივიწროვის გამო. ან კიდევ ერთ პატარა ბინაზე 3-4 სული სცხოვრობს.

ზოგან კიდევ მეტიც.

## სანატორიუმში

სანატორიუმებში მეტ წილად პასუხისმგებელი მუშაკები არიან მოძმე რესპუბლიკებიდან.

ამხანაგური დამოკიდებულება თვალსაჩინოა, როგორც ურთიერთ ამხანაგებს შორის, ისე საექიმო პერსონალთან.

ამ მხრივ ყველა სხვა სანატორიუმი ბევრს ვერაფერს დაიკვეხებს: ხშირად გაიგონებთ საყვედურებს არაზინდოსა და სოცდაზღვევის სანატორიუმში: ურთიერთ დამოკიდებულება ცუდია. „კინკლაობენ", სანატორიუმის „რეჟიმს" არ ემორჩილებიან და სხვ.

სოცდაზღვევის სანატორიუმში 200 კაცი მკურნალობს.

არაზინდოში სამას ორმოცდა ათი.

ა.-კავკასიის და თითქმის საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან ჩამოსულან აქ ავადმყოფები სამკურნალოდ. ვინ გინდათ, რომ აქ არ ნახოთ.

— ეს მონღოლი! მონღოლეთის სახალხო პარტიის ცეკას მდივანია — მიგვითითებენ დაბალი ტანის ჯმუხ მამაკაცზე.

მონღოლური აქ არავინ იცის, მაგრამ მონღოლელს აქ თან ახლავს თარჯიმანი მონღოლი კომკავშირელი, რომელიც ამჟამად მოსკოვის კომუნივერსიტეტში სწავლობს.

სამდანს ეძახიან მონღოლს.

მეორეს ბადარ-ხოს...

იშვიათი ცნობისმოყვარეობას იჩენენ ყველაფრისადმი.

ცდილობენ კავკასიელ ამ ამხანაგებთან მეგობრულ განწყობილების განმტკიცებას... გვეკითხებიან ყოფა - ცხოვრების, ზნე-ჩვეულების და სხვა მტკივნეულ საკითხებზე... და ასე კითხვა პასუხსა და ურთიერთ ყოფა-ცხოვრების გაცნობაში მიქრიან დღეები.

## ისტორიული ძეგლები

გაძლიერებული კვებისა, კლიმატიური მკურნალობისა და სანატორული რეჟიმის დაცვის გამო გამოცოცხლდენ ლოგინად ჩავარდნილებიც, ფეხზე წამოდგომა სცადეს და სანატორიუმის ეზოში გამოეფინენ.

სასწაულს ახდენს აბასთუმანი ჰლექიანებზე.

ბევრისათვის უკვე ნებადართულია ფიჭვნარში გასეირნება, ან კიდევ სანატორიუმის ეზოში „კროკეტისა" და ჭადრაკის თამაში.

— გავისეირნოთ, შემოაქვს ზოგს წინადადება.

— საით.

აი თუგინდ ტაძარი დავათვალიეროთ.

— რომელი ტაძარი? ან რით არის საინტერესო?

ეს არის ყოფილი დიდი მთავრის გიორგის ტაძარი, იშვიათი ოსტატების და მხატვრების ნამუშევარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრის აგება დაუწყიათ 1896 წელს და დაუსრულებიათ 1898 წელს—ასე სწ[illegible] მარილოს დაფაზე.

მოვნახეთ კომენდატი, (კომენდანტს აბარია ამჟამად გასაღები, რადგან ტაძარი სიძველეთა დაცვის კომიტეტის განკარგულებაში გადასული, რის გამო ის გადარჩენილია დანგრევას, მის ადგილას კლუბის აშენების საკითხიც შეფერხებულია).

გავაღეთ იშვიათ ოსტატობით ანაგები ტაძრის კარი.. საშინელი სინესტის სუნი და კანდელიდან მოვარდნილი ყრუ ხმაურობა ვიგრძენით... საოცარია ვოსნეცოვის მხატვრობა, ცნობილ მხატვრის ნესტოროვის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით.

მეტ წილად ქართველი ტიპები...

ქრისტეს ვირიც კი ახალციხური ჯიშისა და სიდიდის...

— ზარზმის ტაძრის ასლთა ნაგებობის გეგმის მიხედვითაა,—განმარტავს სიძველეთა მცოდნე შუახნის კაცი, რომელიც დასასვენებლად ჩამოსულა აბასთუმანში.

— კედლები რუხი და თაფლის ფერი ქვა..

სახურავი ნაცრის ფერი ფიქალი.

ტაძარი მუზეუმის დანიშნულებას ასრულებს ამჟამად აბასთუმანში.

ოძრხიდან მოუტანიათ ნანგრევებში ნაპოვნი ქვები წარწერებით. ყურადღებას იპყრობს ნახევარ მეტრიან სიგრძისა და ერთი მეტრის სიგანის ქვა.

ქვა ნათალი და ნაჩუქურთმები.

შუა ადგილას გამოსახულია მწოლიარე ლომი.

ლომის მარცხენა და მარჯვენა მხარეს (ქვის კიდურებთან) თითო მნათობია. მარჯვენა მნათობის გულში ადამიანის ჩანასახი, ლომის ქვეშ თოფისებური ორნამენტი. ორნამენტ ქვეშ წარწერა—ასომთავრული (წარწერა იწყება „ქ. შ" დანარჩენი ვერ ამოვიკითხე).

მეორე ქვა (კედლის ქვასა ჰგავს) უფრო ძველი უნდა იყოს.

ეს ქვები ისტორიული მნიშვნელობისა და ფრიად მნიშვნელოვანი ძველი ოძრხის კულტურისა და სხვა ისტორიული ცნობების აღდგენისა და დათარიღებისათვის.

სამწუხაროა, რომ სინესტის გამო მხატვრობის იშვიათი ნიმუშები ფუჭდება და ნაფლეთებად მოცვივა ძირს...

ტაძრის წინ—ლენინის ძეგლი.

ასე, რომ ერთი მხრივ—სიძველეთა გამომხატველი დანესტიანებული ძეგლები, მეორეს მხრივ—აზვირთებული ეპოქის შეუდარებელი მებრძოლისა და ღირსეული ბელადის ძეგლი.

კონტრასტი... პოლუსები..

## ცოცხალი მატიანე

აბასთუმანის მინერალური წყლები ძველიდანვე ცნობილია ისტორიაში. ვახუშტის გეოგრაფიაშიაც არის მოხსენებული ამ წყლების შესახებ.

მაშინ აბასთუმანი არ ერქვა ამ ადგილებს. აქ ოდესღაც ქალაქი ოძრხე ყოფილა გაშენებული. საშუალო საუკუნეებში დაბა ოძრხე. სულ ბოლოს მოსახლეობა მხოლოდ აბასთუმანში ყოფილა. ამ დროს იპყრობს რუსეთი ახალციხის ამ მხარეს ოსმალეთისაგან (1828 წ.) აბასთუმანი დაერქვა ნაცვლად ძველი ოძრეხს ანუ ოცხეს.

როგორც კლიმატიური, სადგურ აბასთუ-

მანი ცნობილია გასული საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან. რუსის ჯარის ნაწილები იდგა მაშინ აბასთუმანში, სადაც ექიმებმა შენიშნეს რომ აქაური კლიმატიური პირობები საუკეთესო გავლენას ახდენდა ჭლექით ავადმყოფ ოფიცრებზე.

დაიწყო ყოველმხრივი შესწავლა აბასთუმანის, როგორც კლიმატიური სადგურის და როცა დაგროვილი მასალებიდან გამოირკვა, რომ აბასთუმანი არა თუ ჩამორჩება მსოფლიოში ცნობილ დავოსსა და სხვა კურორტებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობაც კი აქვს ყველა დანარჩენ კურორტებთან შედარებით, დაიწყო აბასთუმანის, როგორც კლიმატიური კურორტის გაშენება.

ამჟამად აბასთუმანი გამოსულია პრიმიტიულობის ბურუსიდან.

ელექტრო განათება, წყალსადენი, სანატორიუმები, პოლიკლინიკა, პანსიონატი, რენტგენის კაბინეტები და საუკეთესო სასტუმრო,—უდავოდ ევროპიული სტილის კურორტად ხდის აბასთუმანს.

— მოხუციც მოვიდა—შემომძახეს ერთ დღეს ამხანაგებმა, როცა მეორე საუზმის შემდეგ სასადილოდან ეზოსკენ გავემგზავრეთ (სანატორიუმში დღეში 5-ჯერ კვებავდნენ ავადმყოფებს, ისე რომ ყოველ ორ საათში სასადილოს სტუმარია ავადმყოფი, რის გამო შორს წასვლა სანატორიუმის ეზოდან არც კი შეიძლება).

გამეხარდა: ეს ის მოხუცია, ახალციხეში, რომ გამაცნეს.

ვიხედები აქეთ-იქით, ვაკვირდები,

მოხუცს, ას ორმოცი წლის მოხუცს. აქ ვერსად ვხედავ.

აგერ სკამლოგინზე ზის 50—60 წლის მოხუცი.

— ეს როგორ იქნება, შეუძლებელია,— ვაიფიქრე მე.

— აი „თქვენი“ მოხუცი,

გავოცდი, გამიკვირდა.

— ას ორმოცი წლის მოხუცი და ასე ყოჩაღი;—ჩავილაპარაკე ჩემთვის იმ ანგარიშით, რომ მოხუცი ამას ვერ გაიგონებდა.

— ას ორმოცისა არა ვარ, შვილო! ას ოცდა თვრამეტისა ვარ, არ დააყოვნა მან პასუხი ჩემს გაოცებაზე.

— გამარჯობა ბაბუა, ხომ ყოჩაღად ხარ?

— სალიამ ალექუმ, ზრასტი, გაგიმარჯოს,—იყო პასუხი, სამივე ენა ესმის მოხუცს და ამის ნიშანი იყო სამ ენაზე მოსალმება.

— ას ოცდა თვრამეტი წლის! რამდენი დრო და ხანია, რამდენი მანძილი.

ცალი ფეხით მეთვრამეტე საუკუნის მიწურულზე დგას ეს „ცოცხალი მატიანე“ მეორეთი კი მეოცე საუკუნის პირველ ნახევარზე... ზღაპრულია... ლეგენდარული, მაგრამ სინამდვილე.

საშუალო ტანის ჯმუხი მოხუცი...

წამოჯარხლებული, გაჯეჯილი თმა და წვერ-ულვაში ჯერ მხოლოდ სანახევროდ ჭაღარა.

კარგად ესმის, მხედველობაც ნორმალური აქვს, მხოლოდ ჭამის დროს ხელები უკანკალებს და წვნიანი საჭმელი ეღვრება. კოვზს ვერ იმაგრებს ხელში.

— ბაბუ, გვიამბე რამე ძველი წარსულიდან.

— ე შვილო, რა უნდა მოვყვე, მოვხუცდი, გამოვყეყეჩდი, სიკვდილმა დამივიწყა —საყვედურობს მოხუცი.—ბევრი კარგი მინახავს ჯეელობაში. მაგრამ ბევრი ტანჯვაც გამივლია. რვა შვილის და შვილის შვილის დამმარხველი ვარ! მე გაუძელი გასაჭირს, მხოლოდ ცოლმა იმდენი იტირა, რომ კარგა ხანია ორივე თვალით დაბრმავდა.

— ცოლი რამდენი წლისაა.

— ას თორმეტის! პირველი ცოლი.

— შენ თათარი ხარ, არა?

— თათარი! გოდერძაშვილი ყოფილა ჩვენი გვარი, მამა თათარი იყო, ის ასორმოცი წლისა მოკვდა, ორი წელიწადი რომ კიდევ გაეძლო, მეც მამის ხნის მოვკვდები! ჰო, იმას ვამბობდი—ავიწყდება სიტყვა მოხუცს —რა ვთქვი?

— აი მამა თათარი იყოვო.

— ჰო, მამა თათარი ყოფილა, მაგრამ წინათ ქართველი იყო ჩვენი წინაპარი, ასე იტყოდა მამაჩემი.

— კი მარა რა იცი რომ ას ოცდათვრამეტი წლისა ხარ?

— მქონდა საბუთები. საბუთები დაიწვა, როცა გადამწვეს.

— ვინ გადაგწვა?

— მტრობა იყო, გადამწვეს.—მოკლედ პასუხობს მოხუცი და რაღაცას იგონებს —

— მე მახსოვს, როცა ერეკლე ხანის შემდეგ კნიაზ მიცკევიჩმა დაგვიპყრო, მე მაშინ, ასე ოცდა ათი—ოცდათვრამეტი წლის ვიქნებოდი (და მართლაც ახალციხის დაპყრობა მოხდა 1828 წელს, ასე, რომ მოხუცის მოგონება თითქმის ედარება ისტორიულ ცნობებს). მე მახსოვს, რომ ოძრხეში, ამ ადგილს წინით ოძრხეს ეძახდენ, არავინ ესახლა, ტყეები არ იყო და იქ, სადაც აბანოებია, იყო ტანსაბანი. სადაც მახლობელი სოფლებიდან ჩამოდიოდენ სოფლელები და ბანაობდენ... ტყე მერე მოშენდა... 70 წლის იქნება ის ტყე. ზეკარისაკენ კი იყო ტყეები.

— არაზინდოში?

— არაზინდოს მხარეზე იყო ტყე. დაბლა ოძრხეში ველი იყო, ტიტველი გორები,

— ახალციხეში ყოფილხარ ახალგაზრდობაში?

— იქ დავიბადე და გავიზარდე, როგორ არ ვყოფილვარ. ახალციხეში ციხის გარდა რომ არაფერი იყო და გარშემო რომ გაუვალი ტყეები იყო მე კარგათ მახსოვს, მერე ტყე გაჩეხეს, ქალაქი გააშენეს და ახლა ხომ ნახე სულ მოტიტვლებული ქედებილა მოსჩანს გარშემო.

— თბილისში ყოფილხარ?

— როგორ არა

— რკინის გზით თუ.

— არა ფურგუნით. რკინის გზა სად იყო მაშინ, ფურგუნით დავდიოდით ვაჭრები, მე ვაჭარი ვიყავი. თბილისი აბანოებთან იყო გაშენებული. ერეკლე ხანის აბანოში მიბანავნია. ზარაფხანას ქვემოთ, მამადხანის ციხის დაბლა.

— რომელი ზარაფხანის,—განგებ ვეკითხები მოხუცს.

— ერეკლე ხანს რომ ზარაფხანა ჰქონდა, მე ერეკლე ხანი არ მინახავს, მარა სახახლე მინახავს მეტეხი. წყალს გაღმა ქალაქი მაშინ იქ იყო, განჯაშიც ვყოფილვარ შუშაყარაბახში.

— რატომ მიდიოდი ამ სიშორე გზაზე?

— ვაჭრობდი, ვიცნობოდი ქვეყანას, მქეიფობდით—იხრავს მოხუცი.

— რა შორეული წარსულია ერეკლე ხანის (მეფის) ზარაფხანიდან ჩვენამდე. რამდენი რა მომხდარა ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვანი და საკაცობრიო მნიშვნელობის, „ცოცხალი“ მატიანე კი გულგრილად იგონებს ყოველივეს და არც კი სწუხს, რომ მას არ ჰქონდა ცნობების ჩაწერისა და საერთოთ მოგონობრობის საშუალება.

რამდენი რა უნახავს მოხუცს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, რამდენი რამ გამოუვლია მაგრამ...

— ქორონიკონს ველარ ვიგონებ, მახსოვრობა აღარ მემორჩილება—წუწუნებს მოხუცი და სიკვდილს ნატრულობს.

— აღარც კბილები მაქვს. მესამე წყება კბილები ამომივიდა, ორი აქ მომთხარეს—ფსოსკოვს გაგზავნეს, ორი სამი კბილი დამრჩა ახლა, მიჭირს ცხოვრება. მიჭირს.

—ვის კმაყოფაზე ხარ, ბაბუ?

— ახალმა ხანმა (ამხ. ფ. მახარაძეს, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს ხანს ეძახის) პენსია დამინიშნა. 25 მანეთს მაძლევენ, დანარჩენს ისევ თქვენსავით ჯეელები მწყალობენ და ვცხოვრობ.

როგორ კმაყოფილია მოხუცი პენსიის დანიშვნით, „ახალმა ხანმა დამინიშნა“ ღიმილით წარმოსთქვა მოხუცმა და სანატორიუმის სამზარეულოს გადახედა,—ალბათ სადილი როდის იქნებაო.

ჯანმაგარია და მხნე 138 წლის მოხუცი, უყურებ და არ გჯერა. ნუ თუ ეს კაცი ერეკლე მეფის დროს დაბადებულია და დღეს ბარაბანზე პიონერების ბრახუნს უგდებს ყურს საბჭოთა აბასთუმანის მიდამოებში.

ნუ თუ აბასთუმანის რბილი და კლიმატიური პირობების გარეშე შეეძლო მოხუცს თითქმის საუკუნე ნახევარის გადაჯირითება.

რასაკვირველია არა.

აბასთუმანის რბილი კლიმატიური პირობები. ჯანსაღი შთამომავლობა და ხელსაყრელ პირობებში ცხოვრება ახალგაზრდობიდანვე ალბათ შეიქნა გოდერძაშვილის დღეგრძელობის თავდები.

## აბასთუმანი მომავალში

ჩვენ აღვნიშნეთ აბასთუმანის, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის კურორტის პრიმიტიულობის ბურუსიდან გამოსვლა ძისი ევროპიული სტილი, მაგრამ აბასთუმანის აყვავებისა და ზრდის პერსპექტივა მომავალშია.

ოთხი სანატორიუმი ამშვენებს ამჟამად აბასთუმანს.

მათ შორის ........აზე ახალი და ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევით მოწყობილია სოცდაზღვევის სანატორიუმი 150-180 საწოლით, უფრო ძველია არაზინდო 300-მე მეტი საწოლით. და ორი შედარებით უმნიშვნელო სანატორიუმი.

ერთი შეხედვით აბასთუმანი მაინც პრიმიტიული კურორტის შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

აბასთუმანი მოელის რკინის გზას, შიგ კურორტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრო გზას, ხეივნების განათებას და კულტურული ბილიკებით დასერვას იმ მიდამოებისას, სადაც ამჟამად ფიჭვნარი აღეთქილა, ხოლო ავადმყოფებს აღმართების გამო ვერ მოუხერხებიათ იქ ასვლა.

ამისათვის საჭიროა ურიცხვი თანხა. პროექტები, გეგმები,

ჩვენ ველოდებით ამ პროექტს ჩვენი წვეთელი ინჟენერებისაგან და საბჭოთა სპეციალისტებისაგან.

ჩვენ ველოდებით ამ გეგმებისა და პროექტების დამკვრელი ტემპებით განხორციელებას.

მაშინ გახდება აბასთუმანი ჯანმრთელობის ნამდვილი სამკვიდრო, შეუდარებელი და მსოფლიო უბადლო კურორტი. და მვეიცერობებით, აბასთუმანის მკურნალი ცხელი და სიამოვნებით ისარგებლებენ აბასთუმანის გაცილებით უფრო რბილი კლიმატიური პირობებით. აბასთუმანის მკურნალი ცხელი წყაროებით.

მაშინ აბასთუმანს ავსტრალიაშიც კი გაიცნობენ.

**პანტ. ჩხიკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამოთხისეული ამერიკაში



ბევრს ჰგონია, რომ ამერიკა ერთგვარ სამოთხეს წარმოადგენს მუშათა კლასისათვის: იქ ხომ ყველას თავისი საკუთარი ავტომობილი, თავისი საკუთარი სახლი, შავი დღისათვის გადანახული თანხები აქვს.

მართლაც ასეთი სათაცნებო ქვეყანაა ამერიკა? მართალია ნიუ-იორკის და სხვა სამრეწველო ქალაქების მთავარ ქუჩებზე ცაში მიბჯენილი სახლებია ჩამწკრივებული, ორმოც სართულიანი ბაბილონის გოდლები, მართალია არისტოკრატიულ უბნებში საუცხოვო პალატებია, მაგრამ საკმაოა კაცმა ოდნავ გადაუხვიოს ცენტრიდან, რომ თავი ამოჰყოს პროლეტარულ უბნებში, რომელნიც მით უფრო ბეჩავ შთაბეჭდილებას ახდენენ, რამდენადაც ბრწყინვალეა მეზობელი მდიდარი უბნების შთაბეჭდილება.

ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, სან-ფრანცისკოს და

## ამერიკელი უმუშევრები რიგში სდგანან წვენის მისაღებათ

სხვა ქალაქების ღარიბ უბნებში „ინდუსტრიული სარეზერვო არმიის“ მთელი ათასეულები საათობით რიგში დგებიან, რათა ერთი თეფში წვენი მიიღონ ან 20 ცენტათ ორიოდე საათით ბარაკში დაიძინონ. აქ არიან ქარხნის მუშებიც და ნავთსადგურის მუშებიც, თეთრკანიანებიც და შავკანიანებიც, ბავშვებიც და დედაკაცებიც.

ამერიკული გაზეთები სავსეა ყალბი ცნობებით „შიმშილის შესახებ საბჭოთა კავშირში“, „მოსკოვის უბინაო ბავშვებზე“, და სხვ., მაგრამ იქ ვერაფერს იპოვით ამერიკის უბინაო ბავშვებზე, და მასიურ შიმშილზე ამერიკის ბანზის რაიონებში.

ზოგიერთი განსაკუთრებული პირობა, რომელიც დამახასიათებელია ამერიკისთვის, დასახლებული რაიონების სიშორე ერთიმეორესაგან, ფაბრიკების გადატან - გადმოტანა, მუშათა ფენების მუდმივი ცვალებადობა, კაპიტალის სიძლიერე, ურიცხვი გაზეთების, კინოების და რადიო-სადგურების გამოყენება ბურჟუაზიის მიერ, პროლეტარიატის უზარმაზარი სარეზერვო არმიის არსებობა, რაიცა ადვილებს „არასასურველი ელემენტების“ გაძევებას ქარხნიდან, საშინლად აფერხებს მუშათა კლასის ორგანიზაციას. თუ ეს ორგანიზაცია მაინც მოეწყო, მექარხნე სცდილობს მეთაურის მოსყიდვას, და რადგან ამერიკაში დოლარი წარმოადგენს არა მარტო ფულს, არამედ უზენაეს პატივსაც, მოსყიდვა ძნელი საქმე არაა. თუ

პოლიციელები დემონსტრანტ მუშას „უსწორდებიან“



**მუშების დემონსტრაცია სატუსაღოს კარებსთან**

შეგნებულმა მუშამ ამ ცდუნებას წინააღმდეგობა გაუწია, მას ჯაშუშებს დაახვევენ, ლები საათობით რიგში სდგანან, რათა ერწარმოებაში მუშაობის და ბინაზე ცხოვრე-



ბის შესაძლებლობას წაართმევენ, ბოლოს მკვლელობას ან მძარცველობას დააბრალებენ და ელექტრონის სკამზე დასვამენ ან კატორღაში გაისტუმრებენ. დიდათ დამახასიათებელია, რომ საკკოსა და ვანცეტტის, მოონეისა, ბილინგსის და გასტონიას გასამართლებისა და დასჯის ამბავი ამერიკის მუშათა კლასმა მოგვიანებით მიიღო, უცხოეთის მუშათა ორგანიზაციების შემწეობით, მრავალი სხვა რევოლუციონერის გასამართლების და დახოცვის ამბავი მან დღესაც არ იცის.

არაფრისა არ ეშინია ამერიკელ ბურჟუას ისე, როგორც „წითლებისა". როცა სასოწარკვეთილება ან კლასობრივი სოლიდარობის ინსტინქტი მუშებს აიძულებს გაფიცვა მოახდინონ, დემონსტრაცია მოაწყონ, პოლიცია ადამიანს დედათა მონასტერათ ეჩვეყებს, რომ მათთან შედარებით ევროპის პოლიცია ადამიანს დედათა მონასტრათ ეჩვენება: გაფიცულების უბანს ცეცხლს უკიდებენ, მათ რაზმებში ეგრეთწოდებულ „ცრემლთა მფრქვეველ ყუმბარებს" ისვრიან, დაჭერილ მუშას კეფში რეზინის საქაჩავით იმდენ წყალს ასხამენ, სანამ იგი ამხანაგებს არ გასცემს ან არ მოკვდება.

**პოლიციელები და ჯაშუშები მხიარულად მიემგზავრებიან „წითლებზე" სანადიროდ**

# ჩვენი ფოტო-ქრონიკა



უმაღლეს სასწავლებლების მოწაფეები შაბათობაზე სტალინის სახ. ქარხანაში



კალინინის სახ. აქრხნის შემხვედრი საწ.-საფ. გეგმის შტაბის თათბირი



26-ის სახ. ქარხნის საწოლების ცეხის კომკავშირელთა სახ. პოლიტსამმართველოს სახ. დამკვრელი ბრიგადა



ბათომი. საექსპორტო საქონლის დატვირთვა უცხოეთის გემზე



ინჟენერი სტუდენტი ქალი მემანქანის პრაქტიკაზე



№ 1 ტყავის ქარხნის ერთ-ერთი საამქრო, რომელმაც პირველობა აიღო სოცშეჯიბრებაში



შეჯიბრება რბენაში ლენინის სტადიონზე



პირველ ორთქლმავლის გამოშვება თბილისის დეპოში



სტალინის სახელობის ქარხნის შემმოწმებელი ბრიგადის თათბირი



ბათომი. თამბაქოს ფაბრიკა „ვოსტოკ"-ის ახალი შენობა



თბილისის ტრამვაის კომკავშირელების პირველი ბრიგადა მიემაგრენ საწარმოო ხუთწლედის დასასრულებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯორჯ სტეფანსონი

# ჯორჯ სტეფანსონის გამარჯვება



ჯორჯ ტეფანსონის მიერ გამოგონილი პირველი ორთქმავალი.

ამა წლის 15 სექტემბერს ასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც დამთავრდა მანჩესტერ - ლივერპულის რკინის გზის ხაზი, რომელზედაც ჯორჯ სტეფენსონმა თავისი პირველი ორთქლმავალი, სახელოვანი „როკეტი" გამოიყენა. დიდი სიძნელეების გადალახვა მოუხდა სტეფენსონს, სანამ მიზანს მიაღწევდა. მის ორთქლმავალს შეებრძოლენ არა მარტო იმ დროინდელი ფოსტის და ნაოსნობის კომპანიები, არამედ ინგლისის გავლენიანი თავად-აზნაურობაც. მაგრამ ამ ადამიანმა, რომელმაც თავისი ცხოვრების სარბიელი მენახირეობით და მეჯანიბეობით დაიწყო, ხოლო წერა-კითხვა მხოლოდ დავაჟკაცების ჰასაკში შეისწავლა, თავისი ენერგიითა ნიჭით მიაღწია იმას, რომ ჯერ ინჟინერის ხარისხი მიიღო, შემდეგ პარლამენტის დავალება, რომ რკინის გზის ხაზი გაეყვანა და ორთქლმავალი გამოეყენებია. ამ ორთქლმავლისათვის სტეფენსონმა პირველად გამოიყენა ლულიანი ქვაბი, რომელმაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია რკინის გზის შემდგომი განვითარებისათვის. სტეფენსონმა საბოლოოდ გაიმარჯვა, ხოლო ლივერპულ-მანჩესტერის ხაზის გახსნამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ტრანსპორტის ზღაპრულ განვითარებას.




მარჯვნით „როკეტი" ლულიანი ქვაბით, მარცხნით მისი შვილის შვილი, ეგრეთ წოდებული „მფრინავი შოტლანდიელი", ყველაზე ჩქარი მატარებელი დედამიწის ზურგზე, იგი ლონდონს და ედინბურგს შორის მოძრაობს

აუმარჯოს ოქტომბრის რევოლუციის 13 წლის თავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

